# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 5 ნოემბერი, 2013 წელი.

№212 (7340)




ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ახალ პრემიერზე იქნება დამოკიდებული ნაციონალთა სამომავლო შანსების ③



ეძღოთ პარპაში!...

## „24 საათის“ მონოპოლიის მზე ჩაესვენა

სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების მონოპოლიური უფლება გაზეთ „24 საათს“ აღარ ექნება.

ასეთი ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობა ყველა ისეთ გამოცემას მიეცემა, რომელიც კვირაში ხუთჯერ მაინც გამოიცემა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება. ამასთან, აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს ვებ-გვერდებზე www.eauction.ge და www.nasp.gov.ge, რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება. პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად, აუქციონის გამოცხადება და ვაჭრობა სწორედ ამ ორ ვებ-გვერდზე უნდა განხორციელდეს.

შესაბამისი ცვლილებები „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონში შედის, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სახელმწიო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოამზადეს.

სადღეისოდ კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაციის www.eauction.ge- ზე განთავსებას და მის გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებას ითხოვს.

ანალოგიური მოთხოვნა არსებობს, როცა საქმე სახელმწიფო შესყიდვებს ეხება. „სახელმწიფო შესაყიდვების შესახებ“ კანონის გათვალისწინებით, ტენდერებთან დაკავშირებული ინფორმაციები სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და, მასთან ერთად, „24 საათში“ უნდა გამოქვეყნდეს, თუმცა, აღნიშნული ნორმა ძალაში 1 იანვრამდეა. 1 იანვრიდან კი, ძალაში შედის კანონი, რომელიც „24 საათის“ მონოპოლიას აუქმებს და ამბობს, რომ საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გავრცელების სხვა, დამატებითი საშუალებები გამოიყენოს.

## სახელმწიფო, მამხილებელი და დაუსჯელობის სინდრომი ⑦

## შენისთანა ბედნიერი განა სხვას ჰყავს სადმე მერი? ⑥

## ომიდან ერთი თვის თავზე სააკაშვილმა ბაქრაძე 174 800-ლარიანი ავტომანქანით „დააჯილდოვა“ ②



## ევრაზიული კავშირი – სატყუარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისათვის ⑤




## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

## ალიან-ჩალიანი



### ღარიბაშვილს გაპრემიერებას ულოცავენ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პროექტის „პოლიციელთა შესაძლებლობების ზრდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში“, დახურვისადმი მიძღვნილ კონფერენციას დაესწრო და სიტყვით გამოვიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ღონისძიებას ასევე დაესწრნენ საქართველოში აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდი, ესტონეთის ელჩი პრიიტ ტურკი და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი ილიანა დერილოვა.

შსს-ს ცნობით, დიპლომატებმა მისასალმებელ სიტყვაში ირაკლი ღარიბაშვილს პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარდგენა მიულოცეს, ესტონეთის საელჩოს წარმომადგენელმა კი მინისტრს სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო პროექტს თემაზე: „პოლიციელთა შესაძლებლობების ზრდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში“ 2012 წლის სექტემბრიდან აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და ესტონეთის მთავრობის ერთობლივი დაფინანსებით ახორციელებს.

შსს-ს ცნობით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, ოჯახში ძალადობის საკითხებზე შსს-ს თანამშრომლების გადამზადება განხორციელდა. გადამზადების პროცესს უძღვებოდნენ როგორც უცხოელი ექსპერტები, ასევე ტრენერებად მომზადებული ქართველი სამართალდამცველები.

### ხელშეკრულება ერთ წელში გაფორმდება

ახლადარჩეული პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის აზრით, საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას 2014 წლის სექტემბრისთვის გააფორმებს.

როგორც მარგველაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, იქამდე დარჩენილ პერიოდში საქართველოს ძალიან რთული სამუშაოს შესრულება მოუწევს.

— ვილნიუსის სამიტის დღის წესრიგი საქართველოსთვის ისტორიულია, რადგან იმ ევროპული არჩევანის ინსტიტუციონალიზაცია ხდება, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გააკეთა კარგა ხნის წინ, — აღნიშნა ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველომ მოახერხა დემოკრატიის კონსოლიდაცია, ჩატარდა უპრეცედენტოდ ევროპული არჩევნები, განხორციელდა და კიდევ მიმდინარეობს არაერთი რეფორმა, რომელიც მოახდენს ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციას ევროპულ ოჯახთა ჯგუფში.

### ადმინისტრაციის ნაწილი პარლამენტის შენობაში განთავსდება

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ნაწილი დროებით შესაძლოა, თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაშიც განთავსდეს. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, საპრეზიდენტო ფლიგელი აქვს თბილისში მდებარე პარლამენტსაც. ვინაიდან პრეზიდენტის აპარატი საკმაოდ ხალხმრავალია, გარდამავალ პერიოდში მათ შეუძლიათ, გამოიყენონ პარლამენტის შენობაში მდებარე პრეზიდენტის ფლიგელი.

ამასთან, უმრავლესობის წევრის თქმით, ათონელის ქუჩაზე იქნება პრეზიდენტის რეზიდენცია, თუმცა, ვინაიდან მისი მშენებლობა არ არის დასრულებული, 17 ნოემბრის ინაუგურაციის შემდეგ გიორგი მარგველაშვილი მთავრობის კანცელარიის საპრეზიდენტო ფლიგელში იმუშავებს.

### პრეზიდენტის რეზიდენციაში ქართულ-ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი განთავსდება

— მე არ ვარ მომხრე, რომ პრეზიდენტის რეზიდენცია იყოს ასეთი დიდი მოცულობის და ვფიქრობ, რომ თანხა, რომელიც ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობაზე დაიხარჯა, ისევ ხალხს უნდა დაუბრუნდეს. პოლიტსაბჭოზე წამოვაყენე წინადადება, რომ იქ განთავსდეს უნივერსიტეტი, შემდეგ ვესაუბრე მინისტრს და ჩამოვყალიბდით, რომ ეს უნდა იყოს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, რომელიც მომავალი წლიდან გაიხსნება. შესაბამისად, პრეზიდენტის ადმინისტრაცია განთავსდება სახელმწიფო კანცელარიაში და ამის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, — განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე შეფასებით, ტექნოლოგიური უნივერსიტეტი უაღრესად საინტერესო პროექტია, რომელიც საქართველოს მაღალი ხარისხის განათლებას მოუტანს.

პრეზიდენტის ამ წინადადებას გამოეხმაურა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ქალბატონი თამარ სანიკიძე.

— ჩემი მოსაზრება არის, რომ ეს შენობა უნდა გამოვიყენოთ მილენიუმის მეორე კომპაქტის ფარგლებში, სადაც ვფიქრობთ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დაფუძნებას. მე მგონი, ძალიან შესაფერისი და ძალიან კარგი იქნებოდა ამ შენობის ამ საქმიანობისთვის გამოყენება, — განაცხადა თამარ სანიკიძემ.



**ინტერპრესი**

## ვინა თქვა ღარიბები ვართო?!

# ომიდან ერთი თვის თავზე სააკაშვილმა ბაქრაძე 174 800-ლარიანი ავტომანქანით „დააჯილდოვა“

**საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა, პარლამენტის ექსსპიკერ დავით ბაქრაძისთვის 174 800-ლარიანი „მერსედესის“ მარკის ავტომობილი შეიძინა.**

**for.ge-მ ექსკლუზიურად 2008 წლის 11 სექტემბერს, პრეზიდენტის მიერ გამოცემული ნომერ 592-ე განკარგულება მოიპოვა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ პარლამენტის თავმჯდომარისთვის სამსახურებრივი ავტომანქანის შეძენის მიზნით, ქვეყნის პირველმა პირმა, ფინანსთა მინისტრ ნიკა გილაურს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, 174 800 ლარის გამოყოფა დაავალა.**

აღსანიშნავია, რომ ეს ის პერიოდია, როცა მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძინვარებდა, საქართველოში „აგვისტოს ომი“ იყო მომხდარი, საერთაშორისო თანამეგობრობა კი, თბილისისთვის ფულადი დახმარების გამოყოფაზე მსჯელობდა.

მართალია, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკანონმდებლო ორგანოს დაფინანსება 2 მლნ ლარით შეუმცირდა, მაგრამ, როგორც ჩანს, პარლამენტი დანაკლისს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ინაზღაურებდა.




რატომ გახდა საჭირო პარლამენტის თავმჯდომარისთვის ავტომანქანის შეძენა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან და არა უწყების ბიუჯეტიდან, ეს კითხვა პასუხგაუცემელი რჩება, რადგან for.ge-სთან საუბარში დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ მას ამის თაობაზე ინფორმაცია არ აქვს.

ექს-სპიკერის განმარტებით, პარლამენტის თავმჯდომარის კუთვნილი ავტომობილით ნინო ბურჯანაძე სარგებლობდა, რის გამოც, დღის წესრიგში ახალი ავტომანქანის შეძენა დადგა.

„ეს ის პერიოდია, როცა პარლამენტი ახალი შეკრებილი იყო და, სამწუხაროდ, ძალიან მალე, რუსული აგრესია განხორციელდა. დღის წესრიგში, პარლამენტის თავმჯდომარისთვის სამსახურებრივი ავტომობილის შეძენის საკითხი დადგა, იმიტომ, რომ სპიკერის კუთვნილი ავტომობილით, წინა პარლამენტის თავმჯდომარე სარგებლობდა“, — განგვიმარტავს უმცირესობის ლიდერი.

დავით ბაქრაძის მტკიცებით, ის არ ფლობს ინფორმაციას, მისთვის ავტომანქანის შეძენა რატომ მოხდა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან.

„არ ვიცი, ეს თანხა რატომ გამოიყო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან. ეს ავტომანქანა სამსახურებრივი იყო, რომელსაც ჩემს პირადულთან არანაირი შეხება არ ჰქონია. პარლამენტის თავმჯდომარეს, როგორც ქვეყნის მეორე პირს, რანგით შესაბამისი კლასის ავტომობილი ეკუთვნის. შეძენილი იქნა „მერსედესის“ მარკის ავტომობილი, რომელიც ოთხი წელი მემსახურებოდა და დღეს, ამ ავტომობილით პარლამენტის თავმჯდომარე სარგებლობს. ამაში არანაირი უკანონობა არ არის. ასეთი ავტომობილით სარგებლობდნენ ჩემი წინამორბედები და ეს ავტომანქანა ახალ სპიკერს გადავაბარე. აქ არანაირი გაუგებრობა არ არის. იმედია, ქვეყნის განვითარება იმის საშუალებას მოგვცემს, რომ პარლამენტის თავმჯდომარეებს უფრო წამომადგენლობითი ტრანსპორტი ჰყავდეთ“, — აცხადებს დავით ბაქრაძე.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დოკუმენტის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, რომელიც ჩვენს მსგავსად, ინტერესდება — თუ რატომ იქნა შეძენილი პრეზიდენტის ფონდიდან ავტომობილი.

კანონმდებლის შეფასებით, პარლამენტს საკუთარი ბიუჯეტი აქვს და სპიკერს ავტომობილი სჭირდება თუ სხვა ნივთი, ხარჯები საკანონმდებლო ორგანოს ბიუჯეტიდან უნდა იქნეს დაფარული.

„პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან ასეთი ტიპის ხარჯების დაფარვა თუ რატომ ხდებოდა, ეს აბსოლუტურად გაუგებარია. უფრო მეტიც, ეს მიუღებელია და ძალიან საინტერესოა, ამ ფაქტს თუ რა ახსნას მოუძებნიან — სააკაშვილი და ბაქრაძე. განსაკუთრებით საოცარია ის ფაქტი, რომ ავტომობილის შეძენა მაშინ მოხდა, როცა ადამიანებს თავზე სახლები ენგრეოდათ და ჭურვები ეცემოდათ. მაშინ, ავტომობილისთვის ეცალათ, როცა ამდენი ახალი დევნილი გაჩნდა?! ამასთან, რამდენად გამართლებულია ავტომობილისთვის ამხელა თანხის გამოყოფა, მაშინ, როცა დევნილები დასაბინავებლები იყვნენ, ამას ვერ გეტყვით. სააკაშვილს უნდა ჰკითხოთ - ეს ხარჯი, რამ განაპირობა“, — განუცხადა for.ge-ს კობახიძემ.

რატომ მოხდა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 174 800 ლარის გამოყოფა, ეს კითხვა, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, პასუხგაუცემელი რჩება, მაგრამ for.ge საიდუმლო დოკუმენტებზე მუშაობას გააგრძელებს და არ არის გამორიცხული, სხვა სკანდალური დოკუმენტებიც მოვიპოვოთ.

რაც შეეხება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს, ის წლების განმავლობაში, მიხეილ სააკაშვილის სურვილების შესაბამისად ცარიელდებოდა. უფრო მეტიც, პრეზიდენტის მიერ გაწეული ხარჯები სახელმწიფო დაცვის სამსახურის ბიუჯეტიდანაც იფარებოდა. კერძოდ, ცოტა ხნის წინ, მთავარმა პროკურატურამ დაცვის სამსახურის მიერ გაწეულ ხარჯებს გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა, რისი საშუალებითაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ წლების განმავლობაში, პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრების, ახლობლების, მეგობრების, ყოფილი და ახლანდელი თანამდებობის პირების, მათ შორის ქალაქის მერის, არაერთი გუბერნატორისა და პარლამენტის წევრების ფუფუნების საგნებზე, საჩუქრებზე, დასვენებასა და გართობაზე შოკისმომგვრელი თანხები იხარჯებოდა.

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის ესპანელი მზარეულის ცხოვრების და თარჯიმნით უზრუნველყოფისთვის 500 ათასი ლარი დაიხარჯა, პრეზიდენტისა და დედაქალაქის მერის „ტანის დაყენებისთვის“ 115 ათასი ლარი. ამასთან, პრეზიდენტის საჩუქრებით ქალბატონებიც იყვნენ განებივრებულნი. მაგალითად, ქვეყნის პირველი პირისგან მომღერალმა — ივანა მელაიმ 982 ლარის ღირებულების ოქროს ნაკეთობა მიიღო, მარიამ საჯაიამ მობილური ტელეფონი და სამაჯური, რომელიც 3500 ლარი ღირდა. ხოლო, თინა ბოკუჩავამ ძვირადღირებული მობილური ტელეფონი.

**თეონა მანაგაძე**

## ინფორმაცია

### ერთი ძმა რა რჩევებს აძლევდა სააკაშვილს, ყველამ ვნახეთ, რას ურჩევს მეორე ძმა მარგველაშვილს?

**საპარლამენტო უმცირესობის წევრის მიხეილ მაჭავარიანის ძმა ვანო მაჭავარიანი გიორგი მარგველაშვილის გუნდში საგარეო პოლიტიკას გაუწევს კურირებას. როგორც ჟურნალისტებს გიორგი მარგველაშვილმა განუცხადა, ვიდრე თანამდებობაზე ოფიციალურად დაინიშნება, მაჭავარიანი მრჩევლის მოვალეობის შესრულებას განაგრძობს.**

— ამ ეტაპზე ჩვენ არც ერთი თანამდებობაზე ოფიციალურად დანიშნული არ ვართ და მომავალში, ბუნებრივია, ვანო მაჭავარიანი წაიყვანს იმ მიმართულებას, რომელსაც კურირებდა მანამდეც — ესაა საგარეო პოლიტიკა, — განაცხადა მარგველაშვილმა, თუმცა, კონკრეტულად რა თანამდებობაზე მოიაზრება ვანო მაჭავარიანის დანიშვნა, არ დაუკონკრეტებია.

## კაკალ გულში

### წერტილოვანი ფრაზები

● ლუწ დღეებში ირაკლი ივანიშვილი იპრემიერებს, კენტში ბიძინა ღარიბაშვილი.

● ბედნიაკოვი ამოქოქავს ზუბკოვს!

● ჯერ არასდროს არ ყოფილა, საბჭო ასე პოლიტ...

მდუმარებით შემოსილი შეღამების ღარიბ...

ქროლვით იწვევს პრემიერებს
და ღრუბლებში აქსოვს...
ასე პოლიტ, ასე ღარიბ,
საბჭო ჯერ არ გვახსოვს.

● ჩვენ გაბრიჭიძეები არასდროს არ ვყოფილვართ კახელები. ჩვენ გაბრიჭიძეები ყოველთვის საჩხერიდან (და კერძოდ ჭორვილიდან) ახლოს ვცხოვრობდით!!! ვოტ ტაკ, ვოტ!!!

● ერთხელაც ქალაქის მერად ქალი რომ ავირჩიოთ, არ შეიძლება? ბარემ ქალიც იქნება და მერიც.

● რა კაი ოცნება მქონდა და 5-იანზე ამიხდა. ეჰ . . .

● დღეს დილას კოჰაბიტაცია კუს ტბაზე შემხვდა. ჩვეულებრივად ვარჯიშობდა, დამთავრებულის ვერაფერი შევატყვე.

იქნებ მისი ორეული იყო, ჰაა?

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**



**ნაციონალური მოძრაობა რევანშისთვის ემზადება, აქტიური ნაციონალური სახეების მხრიდან კეთდება განცხადებები, რომ აუცილებლად დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე მიხეილ სააკაშვილმაც განაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობა გავიდა მეორე ადგილზე, მაგრამ ეს არის ისეთი მეორე ადგილი, რომელიც „მყარ საფუძველს ქმნის შემდგომი ბრძოლებისთვის და შემდგომი ჩვენი გამარჯვებებისთვის“.**

**როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი არ მივიდა არჩევნებზე, ამ პირობებში ეს შედეგი, რომელიც დაფიქსირდა, არის ძალიან კარგი საწყისი პოზიცია ნებისმიერი მზარდი პარტიისთვის და ნებისმიერი მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალისთვის.**

**ნაციონალური მოძრაობის სამომავლო შანსებზე ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე გვესაუბრება.**



# ახალ პრემიერზე იქნება დამოკიდებული ნაციონალთა სამომავლო შანსების

**— ქალბატონო ხათუნა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები არჩევნების წაგების მიუხედავად საკუთარ წარმატებებზე საუბრობენ, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პიარი თუ მართლაც წარმატებად უნდა ჩაითვალოს მათი მეორე ადგილი?**

— ძირითადად დავეთანხმები ნაციონალებს შეფასებაში. ეს შედეგი, ერთი სიტყვით თუ გამოვხატავთ, მათთვის ყველაფერი იყო. უფრო კონკრეტულად, ბაქარაძისთვის არჩევნებში მიღებული პროცენტი თავისი მნიშვნელობით შეიძლება გაუტოლდეს იმ გამარჯვებას, რომელიც ნაციონალებმა მოიპოვეს 2003 წელს, ოღონდაც მაშინ ეს ყველაფერი „რევოლუციით“ დასრულდა. გასათვალისწინებელია, რომ იმ პერიოდში საკმაოდ პოპულარული ნაციონალური მოძრაობისთვის შედეგი არ იყო იმდენად რთულად მისაღწევი, როგორც ამ არჩევნების დროს.

ეს შედეგი მათ აკრიფეს, ფაქტობრივად, მინუსებიდან. გასაგებია, რომ საპარლამენტო არჩევნევბზე მათ რაღაც პროცენტი დაუფიქსირდათ, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებზე აღებული პროცენტი, ყველამ იცის, რომ რეალურად იყო პოლიტიკური მიზანშეწონილობის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით მინიჭებული და არა რეალობასთან შესაბამისი. ამიტომ რა პროცენტიც მათ საპრეზიდენტო არჩევნებზე მიიღეს, მათთვის სწორედ რომ სერიოზული გამარჯვების ტოლფასია რამდენიმე ფაქტორის გამო: ერთი - როგორც ვთქვი, ფაქტობრივად, მინუსებიდან აკრიფეს ხმები, მეორე იმიტომ, რომ მათ დამარცხების შემდეგ შეძლეს საკუთარ თავში იმ ძალის გამონახვა, რომ არ დაშლილიყვნენ და ქმედითუნარიან ძალად დარჩენილიყვნენ, რაც სრულიად უჩვეულოა ქართული პოლიტიკისთვის. როგორც წესი, ყველა არჩევნების შემდგომ, როდესაც პოლიტიკური ძალა მიდიოდა ხელისუფლებიდან, ის წყვეტდა არსებობას ძველი ფორმატით. მათ ეს ტრადიცია დაარღვიეს და შეძლეს, შენარჩუნებულიყვნენ ერთიან პოლიტიკურ სუბიექტად.

გარდა ამისა, დარჩნენ არა მხოლოდ პარტიად, არამედ შეძლეს საკუთარი ამომრჩევლის საკმაოდ სოლიდური მასის შენარჩუნება და შემდეგ უკვე მათი მობილიზება არჩევნებისთვის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ მათ ეს ყველაფერი შეძლეს სწორედ დასავლეთის დამსახურებით, ანუ მაქსიმალურად გამოიყენეს ის აქტივი, რაც მათ დააგროვეს ამ წლების განმავლობაში. ვგულისხმობ, დასავლეთში არსებულ მათ უპრეცედენტო, ყველა სხვა პოლიტიკურ ძალაზე უფრო მეტად მობილურ და ქმედით კონტაქტებს.

ამ ყველაფრის გამოცდა იყო ის, რომ მათ შეინარჩუნეს პარტიული სტრუქტურები, არა მხოლოდ პარტიის ბირთვი, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით განტოტვილი სტრუქტურები. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მათ აძლევს საფუძველს, რომ იფიქრონ წარმატებულ მომავალზე.

**— ნაციონალების ძირითადი ცნობადი სახეები მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია და ა.შ. დაგვემშვიდობნენ სწორედ მომავალ არჩევნებამდე...**

— გააჩნია, რომელი არჩევნები იგულისხმეს. ყველაზე ახლოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია, სადაც ვფიქრობ, ისინი საკმაოდ მაღალ პროცენტებს მიიღებენ. ერთი რაც შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, ის არის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები დღევანდელი პარლამენტისგან განსხვავებით, იქნება სამსუბიექტიანი — „ქართული ოცნება“, ნაციონალები და ბურჯანაძის პარტია.

თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ნინო ბურჯანაძის ამომრჩეველს სერიოზულად დაუკარგავს მოტივაციას და დიდი ალბათობით, მისი ამომრჩეველი კიდევ უფრო ნაკლებად იქნება წარმოდგენილი ადგილობრივ თვითმმართველობაში. მნიშვნელოვან შედეგს დადებს ის, ვისაც ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში აქვს თავისი კარგად განტოტვილი ქსელი, კარგად აწყობილი სტრუქტურა.

დღესდღეობით სახელისუფლო კოალიციაში შემავალ პარტიებზე გაცილებით უფრო მობილური, გამოცდილი და ეფექტური სტრუქტურა აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ და ამიტომ, არ გამიკვირდება, ადგილობრივი თვითმმართვლობის არჩევნებზე მათ ახლანდელზე უკეთესი შედეგი აჩვენონ.

აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ სახელისუფლო კოალიცია გავა მთავარი ბრენდის, ბიძინა ივანიშვილის გარეშე. ვერავინ დამარწმუნებს, რომ მარგველაშვილის აღებული პროცენტებიდან 5%-ზე მეტი არის უშუალოდ მისი. ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ აღებული პროცენტები არის ბიძინა ივანიშვილის პროცენტები. აქედან გამომდინარე, თუ გადავხედავთ სახელისუფლებო პარტიის პერსპექტივას ადგილობრივ არჩევნებზე, მმართველმა კოალიციამ, ალბათ, სერიოზული რებრენდინგი უნდა მოახერხოს, იმისათვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დადოს საპრეზიდენტო არჩევნებზე მიღწეული შედეგი. არანაკლებ მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის მერის არჩევნები.

**— ზოგადად, როგორ ყალიბდება პოლიტიკური სპექტრი, ამისთვის მნიშვნელოვანი იქნება სწორედ ადგილობრივ არჩევნებში მიღებული შედეგები. ანუ, ვინ შეძლებს დიდი ქალაქების მერების მოგებას და ზოგადად, საკრებულოებში უმრავლესობით გასვლას?**

— რამდენადაც ვიცი, საპრეზიდენტო არჩევნებში მმართველი კოალიცია და მისი შტაბები სერიოზულად არაორგანიზებულები იყვნენ. ყველაფერი, ისევე როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებზე არის არა საარჩევნო შტაბებისა და უშუალოდ კანდიდატების, არამედ ერთი კაცის, უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის დამსახურება.

საკითხავია, როდესაც ის პოლიტიკური არენიდან გავა, როგორ შეძლებს „ქართული ოცნება“ ისეთივე შედეგის განმეორებას, როგორიც საპრეზიდენტო არჩევნებზე აჩვენა. გავითვალისწინოთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი გაცილებით შემცირებულია, ვიდრე საპარლამენტო არჩევნების შედეგი. ამიტომ, მმართველ ძალას გაცილებით მეტი შრომის გაწევა მოუწევს. განსაკუთრებით ისეთი არაორგანიზებულობის პირობებში, როგორიც რაიონებში, მათ შტაბებში სუფევს.

**— ამ ფონზე, ნაციონალების ორგანიზებულობა და გამართული სტრუქტურები ძალზე სერიოზული წინააღმდეგობა იქნება.**

— თუ ახლა ნაციონალებმა ისარგებლეს კოჰაბიტაციით და ხელისუფლების გარკვეული კეთილგანწყობით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კოალიციაში შემავალ პარტიებს ნუ ექნებათ იმის ილუზია, რომ ნაციონალები მადლობის ნიშნად რაიმე დათმობებზე წავლენ. ისინი იბრძოლებენ ბოლომდე, და კიდევ ვიმეორებ, შესაძლოა, მათი შედეგები პროცენტულად იყოს ბევრად უფრო ხელშესახები, ვიდრე მათ მიიღეს საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ამისი სამი ძირითადი მოტივი არსებობს — პირველი — თავად ნაციონალები იქნებიან ბევრად უფრო მოტივირებულები და შემოიკრებენ უფრო მეტ ამომრჩეველს; მეორე- ნინო ბურჯანაძის ამომრჩეველი იქნება დეზორგანიზებული საპრეზიდენტო არჩევნებზე მესამე ადგილზე გასვლით; მესამე და მთავარი - თავად სახელისუფლებო კოალიცია წარდგება ამ არჩევნებზე არა მთავარი, არამედ ერთადერთი ფალავანის, ბიძინა ივანიშვილის გარეშე.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ახალი პრემიერ-მინისტრის შესაძლებლობებს, რადგან მარგველაშვილი არ არის ის ფიგურა, რომელიც შეძლებს, კოალიცია წაიყვანოს წარმატებული არჩევნებისკენ — ის არ არის ამ ტიპის ლიდერი. სწორედ ამიტომ, რაკი მარგველაშვილის პოპულარობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კოალიციამ დადოს წარმატებული შედეგი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება პრემიერის ფიგურას, რამდენად დიდი იქნება მის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

**— პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილი დასახელდა, შეძლებს იგი ამ მხარდაჭერის მობილიზებას?**

— ღარიბაშვილი, თავისთავად, საინტერესო ფიგურაა, თუმცა სხვა რაკურსით. არ ვიცი, რამდენად შეძლებს მის მიმართ საზოგადოების დადებითად განწყობას, მაგრამ როგორც მენეჯერი და კრიზისმენეჯერი, ის აღმოჩნდა ძალიან ეფექტური. გავიხსენოთ - ის აღმოჩნდა სიტუაციაში, როდესაც ათასობით კრიმინალი გამოვიდა ამნისტიის შედეგად ციხიდან. ღარიბაშვილი იყო სრულიად გამოუცდელი შინაგან საქმეთა სტრუქტურებთან ურთიერთობაში და ამ სრულიად გამოუცდელმა ახალგაზრდა ადამიანმა შეძლო, ძალიან ბევრისთვის დაუძლეველი სირთულე დაეძლია.

ბევრი ელოდა კრიმინალურ აფეთქებას, მათ შორის, მეც ვშიშობდი, რომ ვერ შეძლებდა ახალბედა მინისტრი სიტუაციის ხელში აღებას, მაგრამ მან, ფაქტობრივად, შეუძლებელი შეძლო. ამიტომ ვამბობ, ის, როგორც მენეჯერი და კრიზისმენეჯერი საკმაოდ საინტერესო იქნება პრემიერ-მინისტრის პოსტზე, თუმცა, არ ვიცი რამდენად შეძლებს დარჩენილ დროში საზოგადოების სიმპათიის იმგვარად მოპოვებას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მმართველ კოალიციას უმრავლესობა შეანარჩუნებინოს.

გარდა ამისა, ღარიბაშვილს აქვს მეორე პლუსი — მენეჯმენტის თვალსაზრისით, ის კარგად დაალაგებს კოალიციასაც და პარტიასაც. მოკლედ, ყველაფერი იქნება დამოკიდებული პრემიერის ფიგურაზე.

**— ჩვენ განვიხილეთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე დასავლურ მედიაშიც კი გაკეთდა შეფასებები, რომ ქართველი ხალხი არ ემხრობა სააკაშვილის მმართველობას და მან ეს საკუთარი არჩევანით დაადასტურა... ეს ყველაფერი რა შანსს აძლევს ნაციონალებს მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის?**

— საპარლამენტო არჩევნებამდე დიდი დროა — აქ რამდენიმე პირობაა, მაგალითად, რა მოხდება, თუ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ შეძლო პარტიად ჩამოყალიბება ან, თუ შეიქმნა ალტერნატიული პარტია, იგივე ახალი პრემიერ-მინისტრით სათავეში...

მნიშვნელოვანია, შეიქმნება თუ არა არასაპარლამენტო ოპოზიციაში ქმედითი პარტია — ამ ფუნქციას ვერც ნინო ბურჯანაძე და ვერც ერთი დღეს მოქმედი პოლიტიკური ძალა ვერაფრით ვერ შეითავსებს — ეს საპარლამენტო არჩევნებმაც აჩვენა... შესაძლოა, სულაც არ გაჩნდეს მოთხოვნა საზოგადოებაში ასეთი ძალის არსებობისა... ან გაჩნდა ახალი ოპოზიციური ძალა, გამოიძებნა ადამიანური რესურსი და შეიქმნა კარგად ორგანიზებული პარტია, პარალელურად კი სახელისუფლებო პარტიასაც ექნება საიმისო რესურსი, რომ მიიზიდოს ამომრჩეველი, ასეთ შემთხვევაში ნაციონალების შანსები მცირდება.

მნიშვნელოვანია, როგორ გადანაწილდება თავად კოალიცია საპარლამენტო არჩევნებისთვის, პროდასავლური ძალები როგორ განლაგდებიან. ამ არჩევნებმაც აჩვენა, რომ პრორუსულ ძალებს ამ ქვეყანაში გასაქანი არ აქვს. მოკლედ, ძალიან ბევრი ფაქტორი იმოქმედებს ამ ყველაფერზე, დავაკვირდეთ მოვლენათა განვითარებას.

ესაუბრა
**ლალი ზირაქიშვილი**

## ალიან-ჩალიანი

### აღნიშნეს ქართული დიპლომატიის დღე

**საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 4 ნოემბერი ქართველი დიპლომატების პროფესიულ დღესასწაულად 2004 წელს დაწესდა და ცნობილი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დაბადების დღეს უკავშირდება.**

**წელს, დიპლომატიის დღესთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროში სადღესასწაულო მიღება 12 ნოემბერს გაიმართება. ქართველ დიპლომატების პროფესიული დღესასწაულის აღსანიშნავად სამინისტროში თბილისის სიმფონიური კვარტეტის კონცერტი და ლევან ცუცქირიძის ნამუშევრების გამოფენა გაიმართება.**

### დააჯილდოვეს აფხაზეთის ომის ვეტერანები

**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ აფხაზეთის ომის ვეტერანებს უწყებრივი მედლები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.**

**თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 1992-93 წლების საომარ ვითარებებში მონაწილე სამხედროებს საბრძოლო დამსახურებისა და მხედრული მამაცობისათვის მედლები რამდენიმე წლის წინ მიენიჭათ, თუმცა, მათი გადაცემა მხოლოდ ახლა მოხდა.**

**სამშობლოს დაცვისას მამაცობისა და მხედრული ვალის შესრულებისათვის, ვაჟკაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის, მაიორი ზაურ ჩიქოვანი, რიგითები თეიმურაზ ფანჯავიძე და ბადრი ლეთოდიანი მედლებით „მხედრული მამაცობისათვის“ გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდნენ. თავდაცვის მინისტრმა ჯილდოები მათი ოჯახის წევრებს გადასცა.**

**გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის„ და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა აფხაზეთის ომის მონაწილეები: ლეიტენანტი სოსო ლომიძე, მაიორი ალექსანდრე მამიაშვილი და რიგითი ზურაბ შაფაქიძე. მათ უწყებრივი მედლები სამშობლოს დაცვისა და ერთიანობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული პიროვნული დამსახურებისათვის მიიღეს. სიკვდილის შემდეგ უწყებრივი მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“ გადაეცა ასევე, უფროს სერჟანტს ზაურ ხუბუას, რომელიც მისმა მეუღლემ — თინათინ ხუბუამ მიიღო.**

ინტერპრესი

განსჯა

# იქნებ ახლა მაინც გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები!



გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი **ანზორ ბაბუხადია**

**— ღვთის წყალობით, პრეზიდენტის არჩევნები მშვიდობიანად ჩატარდა. კი იყო გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ეს, დამეთანხმებით, საბოლოო შედეგებს მნიშვნელოვნად არ შეცვლიდა...**

**თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, სააგიტაციო საშუალებათა გამოყენების თვალსაზრისით, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი აშკარად არათანაბარ პირობებში აღმოჩნდა. ამის გამო კი მავანმა პრეზიდენტობის ან დეპუტატობის ფულიანმა კანდიდატმა შესაძლოა მყისიერად დასვას კითხვა: ვის რა უნდა, მე მაქვს ფული და სადაც მინდა და რამდენსაც მინდა, იმდენს დავხარჯავ სააგიტაციო საშუალებათა გამოყენების თუ სხვა რამისთვისო...**

— ასეთ შემთხვევაში პასუხი ამგვარი უნდა იყოს — შენი ფული და ქონება ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს და, სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე დახარჯე, ოღონდ ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტობა და დეპუტატობა ფულზე ან „ფოჩიან კანფეტზე" აღარ გაიყიდება. გახდი, ბატონო პრეზიდენტი, გინდ დეპუტატი და მერე, როგორც გინდა, ისე დახარჯე შენი ქონება. მაშინ უფრო კარგად გამოჩნდება, შენ ქველმოქმედი ხარ თუ ფულიანი მოძალადე.

**— არჩევნებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ რამდენად დააზარალა ქვეყანა? ნაცებს თუ დავუჯერებთ, მათ ხელში საქართველო აყვავდა. როგორც ეკონომისტმა, ამ კითხვაზე პასუხი იქნებ ციფრებითა და ფაქტებით ჩამოაყალიბოთ.**

— „დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის" 2012 წლის მონაცემებით, **საქართველო მსოფლიოს 144 ქვეყანას შორის 131-ე „საამაყო" ადგილზე აღმოჩნდა კერძო საკუთრების დაცვის რეიტინგით; 141-ზე — ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობით; 128-ზე — სოფლის მეურნეობაზე დახარჯული საბიუჯეტო თანხის მოცულობით; 131-ზე — ადგილობრივი პროდუქციის წარმოების მოცულობით; 126-ზე — ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით; 101-ზე — პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობით; 95-ზე — სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობით; 114-ზე განათლების სისტემის ხარისხით; 115-ზე — სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეფექტიანობით; 95-ზე — საბანკო კრედიტების ხელმისაწვდომობით და ა.შ.** ასეთ პირობებში, მიღწეული შედეგებით ბრახაბრუხის უფლება ვინმეს აქვს?

**— ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას, როგორც წესი, ჭეშმარიტებად მხოლოდ საკუთარი აზრი ეჩვენება. ამიტომ იშვიათად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც მთელი სიგრძე-სიგანით აცნობიერებენ უკვდავ ფრთიან ფრაზად ქცეულ სოკრატეს ნათქვამს — „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი".**

— ასეთ გენიოსობას ბევრს ვერც მოვთხოვთ, მაგრამ საზოგადოებამ ის მაინც უნდა შეძლოს, რომ ერთმანეთისგან გაარჩიოს თეთრი და შავი, მაღალი და დაბალი, ჭკვიანი და უჭკუო, ერის შვილი და ძაღლის შვილი და ა.შ.

**— მოდით, და ისევ 27 ოქტომბრის არჩევნებს დავუბრუნდეთ. ელოდით თუ არა ასეთ შედეგებს? რატომ იყო ამომრჩევლების აქტიურობა ასეთი დაბალი? ენდობით თუ არა ე.წ. ეგზიტპოლებისა და საზოგადოებრივი აზრის წინასწარი გამოკითხვების ინსტიტუტების ფუნქციონირებას?**

— ბატონი გიორგი მარგველაშვილი, სულ მცირე, მეორე ტურში უეჭველად რომ გავიდოდა, ამაში ეჭვი არავის არ ეპარებოდა, რადგან ამ შემთხვევაშიც ისევ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფენომენმა მოახდინა გადამწყვეტი გავლენა, ასეთ პირობებში, ბუნებრივია, დაისვა კითხვა, — წავიდე თუ არა არჩევნებზე? პასუხი ნათელი და ერთმნიშვნელოვანია — თუ ქვეყნის მომავალზე გული შეგტკივა, ვისაც უფლება აქვს, არჩევნებში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამ აქსიომის უგულებელყოფა დანაშაულის ტოლფასია!

რაც შეეხება მეორე ადგილზე ნაცების კანდიდატის გასვლას, ეს ყველა საღად მოაზროვნე პიროვნებისთვის მოულოდნელი იყო. არა მაქვს არავითარი საფუძველი, ეჭვი შევიტანო არჩევნების შედეგებით მანიპულირებაში, თუმცა, წინასაარჩევნო გარემოებამ და, არცთუ უმნიშვნელო დარღვევებმა დიდწილად განსაზღვრა საბოლოო შედეგები. გადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე, არც ერთი ნაცმოძრაობის მხარდამჭერი, მათი ოჯახის წევრები და გულშემატკივრები არჩევნების დღეს სახლში არ დარჩენილან.

მათგან განსხვავებით, უმოტივაციოდ დარჩენილმა ამომრჩეველმა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თავი არ შეიწუხა არჩევნებზე მოსვლით, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა საბოლოოდ დაფიქსირებული შედეგები. ვფიქრობ, ამომრჩეველთა 70 პროცენტს მაინც რომ მიეღო მონაწილეობა ამ უმნიშვნელოვანეს სამოქალაქო აქტში, მაშინ, სულ მცირე, მეორე ადგილზე ნაცების წარმომადგენლის მაგიერ, სხვა, უფრო ღირსეულ კანდიდატს ვიხილავდით და არჩევნების მეორე ტური გარდუვალი იქნებოდა. ბრძნულმა გამოთქმამ „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო", კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი.



რაც შეეხება თქვენი შეკითხვის ბოლო ნაწილს, მიგვაჩნია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა პოლიტიკურ პარტიათა ან ცალკეული პიროვნებების რეიტინგის „დადგენის" მიზნით, ყოვლად გაუმართლებელია, რადგან ის, როგორც წესი, ტარდება რომელიღაც დაინტერესებული მხარის ძალისხმევით და მიმართულია ამომრჩეველთა დეზორიენტაციისკენ. არცთუ იშვიათად, ის საარჩევნო უბნებისა და მათი ზემდგომი დაწესებულებებისათვის გარკვეულ ორიენტირადაც აღიქმება.

**— დასასრულ, რას უსურვებდით ქვეყნის ახალ პრეზიდენტს?**

— უწინარესად, ვულოცავ გამარჯვებას და მიხედოს ქვეყნის დემოგრაფიისა და ქართული ენის გადარჩენის პრობლემებს. თუ მასთან პირადი შეხვედრის საშუალება მომეცა, ამ პრობლემების მოგვარების კონკრეტულ წინადადებებს დეტალურად მოვახსენებ.

ესაუბრა
**რუსლან რუსია**

წრფელი გულით!..

# მოსვლა, რომელმაც წასვლა უნდა გადაგვატანინოს

ეს ამბავი გიგა ლორთქიფანიძისგან მაქვს მოსმენილი: მიხაკო ორაგველიძე, მთელს საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ედუარდ შევარდნაძის უახლოეს მეგობრად ითვლებოდა. როცა ეს უკანასკნელი მოსკოვში გადაიყვანეს და მისი ადგილი ჯუმბერ პატიაშვილმა დაიკავა (მათი ურთიერთმტრობის ამბავი კი ყველამ იცოდა), ორაგველიძე საგონებელში ჩავარდა: ცეკას ახალი მდივნისთვის ისე უნდა მიელოცა, რომ შევარდნაძეს არ სწყენოდა. ბატონი გიგას თქმით, მიხაკომ შეადგინა მილოცვის ტექსტი, რომლის უკეთესს ტალეირანიც ვერ მოიფიქრებდა. აი, ეს ტექსტიც: „ჩემო ჯუმბერ, შენმა დანიშვნამ გადამატანინა ედუარდის გადაყვანა."

თუმცა, ივანიშვილი და ღარიბაშვილი მტრები კი არა, მეგობრები არიან, ყოველი შემთხვევისთვის, თავი მაინც რომ დავიზღვიოთ, ახალ პრემიერ - მინისტრს ასე უნდა მივულოცოთ: „ბატონო ირაკლი, თქვენმა დანიშვნამ გადაგვატანინა ბატონი ბიძინას წასვლა."

ორაგველიძე, რა თქმა უნდა, არ ხუმრობდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვხუმრობთ.

თუ სიმართლის გარკვეულ დოზას ყველა ხუმრობა შეიცავს, ამ შემთხვევაში, ეს დოზა ერთობ შთამბეჭდავი იქნება. დღეს ბევრი თუ ავად წინასწარმეტყველებს, ბევრს გულწრფელად აშფოთებს კითხვა: ივანიშვილის წასვლა ბზარებს ხომ არ გააჩენს სამთავრობო გუნდში? ქვეყნის უამრავი გულშემატკივარი შიშობს, რომ ხელისუფლებას მკაცრი ხელი მოაკლდება.

ამგვარი შიშის საფუძველს, ალბათ, ყველაზე ნაკლებად სწორედ ირაკლი ღარიბაშვილი ტოვებს.

მთავარია, მისი მკაცრი ხელი სამართლიანი გულითა და გონებით იმართებოდეს.

როგორ ამბობს ბარათაშვილი? — „ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით..."

„მოლხინე სული", ალბათ, სამართლიან გულსაც გულისხმობს.

ალბათ, გულწრფელობასაც გულისხმობს...

ალბათ, უანგარობასაც გულისხმობს...

ანუ ყველაფერ იმას, რაც ასე აკლდა სააკაშვილის ხელისუფლებას, ქართულ მედიას, ჩვენს ყოფას, ურთიერთობებს...

ბიძინა ივანიშვილმა ერთი სტერეოტიპი ნამდვილად დაამსხვრია, ანუ დაამტკიცა, რომ პოლიტიკოსი შეიძლება იყოს გულწრფელი. ეს პირადი მაგალითით კი დაამტკიცა, მაგრამ, იმავდროულად , გვერდით არცთუ ცოტა არაგულწრფელი მედროვეც დაიყენა. შესაძლოა, იმიტომ, რომ ხანგრძლივი განდეგილობის გამო, საზოგადოებას კარგად არ იცნობდა. ამიტომაც ამა თუ იმ კადრის დანიშვნისას, ხშირად ისმოდა კითხვები: საინტერესოა, ვინ ურჩია? ვინ გაუწია რეკომენდაცია?

საბედნიეროდ, ეს მთავრობის წევრებს ნაკლებად ეხებათ.

რაც მთავარია, ეს არ ეხება მინისტრს, რომელიც სულ მალე ქვეყნის პირველი პირი გახდება.

დიახ, ქვეყნის პირველი პირი.

სხვათა შორის, ამ წერილის ასე დაწყებას ვაპირებდი: „ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ, თუ ქვეყნის პირველი პირი პრემიერ - მინისტრი უნდა იყოს, მაშინ პირველი ლედი პრეზიდენტის მეუღლე როგორ იქნება?!"

კიდევ კარგი, რომ ამ საკითხს ნათელი ისევ ბიძინა ივანიშვილმა მოჰფინა.

იმედია, ქალბატონ მაკა ჩიჩუას ამიერიდან მაინც მოასვენებენ სენსაციებს დანატრებული ჟურნალისტები, მათ შორის ისეთები, რომელთაც ფსევდოოპოზიციურ პარტიებში ხელი მოეცარათ, ანდა ბოლო წლები უზრუნველად გაატარეს და ისევ საბრალო (მათნაირთა ხელში!) ტელემედიას დაუბრუნდნენ. ჯვარი ეწეროთ, მაგრამ ზოგიერთ მათგანს რომ ვუყურებ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს, საკუთარ პანაშვიდს ესწრებიან. პარალელურად, „ძველებურად" ლაღობენ და უზნეობის პროპაგანდაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ნანუკები და მაიკოები,რომელთაც „ნიჭიერის" ჟიურიდან ომახიანად უერთდება (და აჭარბებს კიდეც) ია ფარულავა. ფეისბუქიდან კი „სამ ხმაში" გვაგინებენ (პირდაპირი მნიშვნელობით) წკრიალაშვილი, ბეგაშვილი და ისევ ფარულავა.

უნდა ითქვას, რომ ივანიშვილმა იმ გულისამრევი სიყალბის აღმოფხვრაც დაიწყო, ჟურნალისტებთან მთავრობის დამოკიდებულებას რომ ახასიათებდა.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ახალი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ამ ხაზს გააგრძელებენ.

მათი მდგომარეობა გაცილებით რთულია: იმას, რაც იუპიტერს ეპატიებოდა, მათ არ მიუტევებენ. ივანიშვილს უზარმაზარი კოზირი ჰქონდა — სააკაშვილი მოგვაშორა. ამიტომაც ადვილად ვაპატიე ის, რომ მთავრობის კანცელარიაში 14 მაისს შეტანილი განცხადების პასუხი დღემდე არ მიმიღია. ამის მიუხედავად, წავედი და ხმა უყოყმანოდ მისგან შემოთავაზებულ საპრეზიდენტო კანდიდატს მივეცი.

ჩემი განცხადება რა მოსატანია (თუმცა, იქაც პირადულს არ ვითხოვდი), მთავარია, ხელისუფლებამ მთელი ერის მოთხოვნები შეისმინოს და შეასრულოს. უპირველესად კი ოდიოზური კო(ჰ)აბიტაცია რეალურად დაასრულოს და სამართლიანობა აღადგინოს, რათა კვლავაც ბარამიძეებისა და თარგამაძეების ბრიფინგებსა და თუთბერიძეთა უტიფრობას არ ვხედავდეთ.

* * *

**მთავარია**, ახალმა ხელისუფლებამ ქართული გულით ქართული საქმე აკეთოს.

თორემ არჩევნები კიდევ მოვა...

**იოსებ ჭუმბურიძე**

რა მოგველის?

# ევრაზიული კავშირი — საცდუარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისათვის

**საქართველოს ახალი პრეზიდენტის არჩევა სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებთან ერთად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც მიულოცა. სპეციალურ მიმართვაში ოფიციალურმა მოსკოვმა კიდევ ერთხელ გააჟღერა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის სურვილი.** პასუხად საქართველომ ქვეყნის დეოკუპაცია და არაღიარების პოლიტიკა შესთავაზა. საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ მეზობელ ქვეყანას ურთიერთობის აღდგენის სურვილი დაუდასტურა, თუმცა, წინაპირობებზეც ისაუბრა.

**„ძალიან მინდა ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა მოახერხოს. მართლაც ძალიან მინდა, რადგან ამის წინაპირობა ქვეყნის დეოკუპაცია და აღიარების უკან წაღებაა. თუკი ეს მოხდება, რასაკვირველია, საქართველო მზადაა, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყაროს“,** — განმარტა მაია ფანჯიკიძემ.

დეოკუპაციაზე ფიქრი, რომ ოცნებაა და არაღიარების პოლიტიკის გატარება მით უფრო, ეს თავად რუსეთმა რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ დააფიქსირა.

რამდენიმე დღის წინ ცხინვალში ჩასულმა პუტინის წარმომადგენელმა ვლადისლავ სურკოვმა ცხინვალის დე ფაქტო მთავრობასთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო სახელმწიფოების ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაწევრიანებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მოსკოვში ამ საკითხზე უკვე მსჯელობენ.

მსჯელობის ძირითადი თემა კი არაღიარებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ევრაზიულ გაერთიანებაში მოხვედრაა. ორგანიზაციაში მათ შესვლას კი ყველაზე მეტად ყაზახეთი და ბელორუსია ეწინააღმდეგებიან. გაწევრიანების შემთხვევაში დე ფაქტო სახელმწიფოები, ფაქტობრივად, აღიარებას მოიპოვებენ.

სექტემბერში გაჟღერებულ ინიციატივას, რაც ე.წ. ასოცირებული ქვეყნების სტატუსით ორგანიზაციაში გაწევრიანებასა და დე ფაქტო რეგიონების კონკრეტულ ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობას გულისხმობს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა საყურადღებო უწოდეს და პირობაც დადეს, რომ ამ საკითხზე იმსჯელებენ.

რუსეთის მთავრობის გარდა საკითხზე ექსპერტებიც მსჯელობენ. ეკონომიკის ინსტიტუტის წარმომადგენელი ალექსანდრე კარავაევი რეგიონების გაწევრიანებისას არსებულ რამდენიმე მნიშვნელოვან ბარიერზე საუბრობს. პირველი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღაიარების საკითხია, მეორე კი ის სარგებელი, რომელიც მათ გაწევრიანების შემთხვევაში პარტნიორ ქვეყნებს უნდა მოუტანონ.




კარავაევი ამბობს, რომ ყაზახეთისა და საქართველოს მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაწევრიანებას ძალიან უშლის ხელს. კითხვაზე თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ორგანიზაციას წევრების შემომატებამ, კარავაევი ამბობს, რომ ამ ეტაპზე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისგან სარგებლის ნახვა მხოლოდ ინვესტიციების ჩადებით შეიძლება. დე ფაქტო სახელმწიფოებს საკუთარი ინფრასტრუქტურა ფაქტობრივად არ აქვთ და ფინანსების 90 პროცენტი სწორედ რუსეთის მთავრობიდან შედის.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას საქართველოში არარეალურს უწოდებენ. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი ვიქტორ დოლიძე ამბობს, რომ ეს საკითხი საქართველომ უნდა გადაწყვიტოს და რუსეთისა თუ სხვა გარეშე ძალების ჩარევას მიუღებლად მიიჩნევს.

**„აფხაზეთისა და ცხინვალის რომელიმე ორგანიზაციაში გაწევრიანება სურკოვს და რუსეთის წარმომადგენლებს არ ეხებათ. ეს რეგიონები ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ნაწილია. ჩემი აზრით, საქართველოს მხრიდან უფრო კარგი შემოთავაზება აქვთ მათ. შემოთავაზება, რომელიც შეეხება ევროპულ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრულ ინტეგრაციას, დემოკრატიულ განვითარებას, ნორმალურ მომავალს. სურკოვს თუ სხვა პირებს ნამდვილად არ აქვთ უფლება, გადაწყვიტონ ჩვენი თანამემამულეების რომელიმე ორგანიზაციაში გაწევრიანება.**

**რეალობა, მოცემულობა ძალიან რთულია, მაგრამ ჩვენ ახლა იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ, რა სურს რუსეთს, ჩვენ უნდა ვიფიქროთ ამ ადამიანების იდენტობის შენარჩუნებაზე და საქართველოს ლეგიტიმურ სივრცეში არა მხოლოდ მიწების, არამედ ხალხის რეინტეგრაციაზე“,** — აცხადებს ვიქტორ დოლიძე.

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე სერგი კაპანაძე შეუძლებლად მიიჩნევს დე ფაქტო რეგიონების ევრაზიულ საბაჟო კავშირში რამე სტატუსით გაწევრიანებას და ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერი ფორმით მათთან თანამშრომლობა აღიარების ტოლფასი იქნება.

სერგი კაპანაძე: **„ევრაზიულ კავშირში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად შესვლა, რა თქმა უნდა, ნიშნავს, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მხრიდან აღიარებას. მათი გაწევრიანების სხვა ფორმა არ არსებობს, შესაბამისად, თუკი სხვა ქვეყნები დაეთანხმებიან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ევრაზიულ კავშირში შესვლას, ისინი ავტომატურად ეთანხმებიან მათ დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებას. ეჭვი მეპარება, რომ დსთ-ს წევრმა ქვეყნებმა, რომლებიც მათ შორის ევრაზიული კავშირის წევრები არიან ამ ეტაპზე მათ გაწევრიანებას მხარი დაუჭირონ. იმიტომ, რომ მათ საერთაშორისო არენაზე გაუფუჭდებათ ურთიერთობები“.**

იურისტი თემურ ბაქრაძე დე ფაქტო რეგიონების გაწევრიანების სამართლებრივ მხარეებზე საუბრობს. ბაქრაძე ამბობს, რომ თუკი რუსეთი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს ევრაზიულ კავშირში მაინც გააწევრიანებს, ეს მას საერთაშორისო ხმაურის ფონზე მოუწევს.

თემურ ბაქრაძე: **„სამართლებრივად გამორიცხულია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გაწევრიანება. თუკი პარალელს გავავლებთ და საერთაშორისო სამართალში სწორედ ანალოგიების მიხედვით ხდება ხელმძღვანელობა. იაპონელებმა შექმნეს მანჯაუგო. ეს მარიონეტული სახელმწიფო იაპონიას სჭირდებოდა იმისთვის, რომ ჩინეთში შეეღწია. სწორედ ასე შექმნა რუსეთმა ეს ორი დე ფაქტო სახელმწიფო საქართველოში შემოსაღწევად. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი არ არიან სახელმწიფოები და ვერც იქნებიან. გაეროში დაახლოებით 129 ქვეყნის თანხმობაა საჭირო იმისათვის, რომ სახელმწიფოდ იქნან აღიარებული, ასევე მნიშვნელოვანია რომ უშიშროების საბჭოს წევრი ყველა ქვეყანა იყოს თანახმა მათ აღიარებაზე. შესაბამისად, ისინი როგორც სახელმწიფოები ვერასდროს ვერ შევლენ ევრაზიულ კავშირში. თავად ამ კავშირში მყოფ ქვეყნებსაც კი არ უღიარებიათ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად და უახლოეს მომავალში მათი მხრიდან აღიარება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ეს მხოლოდ იდეის დონეზე გაჟღერებული დაპირებაა, რომელიც რუსეთმა მათი გულის მოსაგებად თქვა“.**

ქართველი ექსპერტებისა და პოლიტოლოგების აზრით, ევრაზიული კავშირი ნაკლებპერსპექტიული ჩანაფიქრია და მისი განვითარება, უფრო მეტიც, ევროკავშირის საპირწონე ორგანიზაციად ჩამოყალიბება არარეალურია.

ვლადიმერ პუტინის ძირითადი საგარეო პოლიტიკური ინიციატივა, რომელსაც 2015 წლისათვის ევრაზიულ საბაჟო კავშირად მოიაზრებენ, არც თუ ისე წარმატებით ხორციელდება. ყოფილ საბჭოთა კავშირად ხსენებული ევრაზიული კავშირიდან გამოსასვლელად უკვე შეიქმნა ყაზახეთში სამუშაო ჯგუფი.

ევრაზიული კავშირის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ამ ეტაპზე ფინანსების მოძიება სახელდება. წევრ ორგანიზაციებს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ, რომლის გამოც უახლოეს მომავალში, შესაძლოა, არა თუ ევრაზიული კავშირის, არამედ საკუთარი ქვეყნის მართვაც კი გაუჭირდეთ.

**თათია კოზიძე**

დედაქალაქი

# „გულივერის ბოტების“ მშენებლობა შეჩერებულია

**ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთ ხმაში გაჰკივიან, რომ ახალმა მთავრობამ მათ მიერ დაწყებული ბევრი პროექტი შეაჩერა. სპეციალისტები და ექსპერტები კი ამტკიცებენ, რომ შეჩერებულთა უმეტესობა პომპეზურია, არ მიესადაგება ქალაქების დიზაინს, ეროვნულ არქიტექტურას და, რაც მთავარია, ჩვენისთანა ღარიბი ქვეყნისთვის ძვირადღირებული ზედმეტი ფუფუნებაა. ერთ-ერთი ასეთია რიყის მუსიკისა და დრამის თეატრი — ე. წ. გულივერის ბოტები ანუ „ტრუბები“...**

თბილისის მერიამ რიყის, როგორც დედაქალაქის ძველი, ისტორიული ნაწილის კომპლექსური განვითარებისა და განაშენიანების კონცეფციაზე მუშაობა 2009 წელს დაიწყო. პროგრამა რამდენიმე მასშტაბურ პროექტს მოიცავდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი რიყის პარკის ლანდშაფტური არქიტექტურისა და მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა იყო.

რიყეზე ე. წ. „ტრუბების“, — მუსიკისა და თეატრის მშენებლობა 2011 წელს დაიწყო. ჩამოიყვანეს გარკვეული განათლების იტალიელი არქიტექტორი მასიმილიანო ფუქსასი. მშენებლობის დაწყებისთანავე დაიგეგმა, რომ თეატრი 2012 წლის აპრილში უნდა გახსნილიყო. ის 500-მდე მაყურებელზეა გათვლილი. გამოიყო თანხაც — 75 მლნ ლარი, მაგრამ გაუგებარი მიზეზებისა გამო მშენებლობა დროში გაიწელა.



თეატრის მშენებლობის იდეა და თანხები დღევანდელ პრემიერსა და მაშინ სააკაშვილთან დაახლოებულ ბიზნესმენს ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნოდა. იგი ამას არც მალავს. ერთად ყველაფრის თავის ხუშტურებზე შენება დაიწყო. ბიზნესმენსა და ქართველ არქიტექტორთა ერთ ჯგუფს არ მოსწონდათ კონსტრუქცია. ივანიშვილი ამას ღიადაც აცხადებდა, მაგრამ...

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პრემიერმა თქვა: „ის უნდა იყოს ჭურჭელი. სინამდვილეში ქვიშაზე დაყრილი გრაფინებია. ამის ნახაზები ნანახი მაქვს და მინდოდა მანდ მუსკომედიის თეატრის აშენება. მაგრამ როდესაც ვნახე, რომ არქიტექტორი პროპორციებში იტყუებოდა, შევუთვალე, რომ არ შეიძლებოდა ამის გაკეთება, მაგრამ „ლიდერი“ ვერაფრით შევაჩერეთ და მივიღეთ ხიდზე უარესი“. ივანიშვილმა დაუმთავრებელ შენობას „ზარბაზნის ლულა“ უწოდა. იგი არქიტექტორთა აზრის გათვალისწინებით თვლის, რომ შენობა დედაქალაქის იერს არ შეესაბამება. პრემიერს საჭიროდ მიაჩნია ქართველი მშენებლების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ჩართვა, საჭიროების შემთხვევაში უცხოელი დიზაინერების ჩამოყვანაც. ნახავენ, ამბობს იგი, თუ დასამთავრებელია დავასრულებთ, თუ სიმახინჯე და მოსაშორებელია, მოვაშორებთ.

თბილისის განვითარების ფონდში კი სხედან და მოსთქვამენ — პროექტის დაფინანსება ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეგვიჩერაო. ეკონომისტებმა, მშენებლებმა და სხვა დარგის სპეციალისტებმა მშენებლობის დაწყებამდე დაიანგარიშეს, რომ თეატრის აშენებას 75 მლნ ლარი დასჭირდებოდა. მიიღეს კიდეც ხსენებული თანხა, მაგრამ ექსპერტთა თქმით, შეჭამეს ისე, რომ, შენობის შიდა ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული არ არის.

ამრიგად, ფონდის თანამშრომლებს მუსიკისა და დრამის თეატრის დამთავრებისათვის სააკაშვილთან და უგულავასთან მისვლა მოუწევთ. რა, ფული არა აქვთ თუ რა!

**ზაზა ბილიხოძე**

## დასაქმება

# „მუშა, მუშა, ვის უნდა მუშა-ა!“

**ყველა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში მოსახლეობის დასაქმების საკითხი ნებისმიერი პოლიტიკური შეფერილობის კოალიციური თუ მონოპარტიული მთავრობის უწინარესი ზრუნვის საგანია. ამასთან, საგულისხმოა, რომ მათ უმრავლესობაში სათანადო სტრუქტურები დასაქმების მაჩვენებელს ერთნაირი მეთოდოლოგიით ითვლიან, რაც, როგორც ჩანს, რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ სურათს წარმოაჩენს.**

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თავისთავად უმუშევრად ამა თუ იმ პირის სტატისტიკურად აღრიცხვას გარკვეული სირთულეები ახლავს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, ისეთი კომპეტენტური ორგანო, როგორიცაა **მსოფლიო შრომის ორგანიზაცია (მშო) თვითდასაქმებულებსაც დასაქმებულად მიიჩნევს.** ამდენად, გამოდის, რომ კაცმა საკუთარი თხებიც რომ გარეკოს საძოვრად და მერე შინ წამოსხას, დასაქმებულია. მშო-ს დებულების თანახმად, **უმუშევრად კი ის 15 წელს მიღწეული და მეტი ასაკის პირი ითვლება, ვისაც ერთი საათიც კი არ უმუშავია დასაქმებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემამდე შვიდი დღის მანძილზე, სამუშაოს ამ მომენტამდე ოთხი კვირის მანძილზე ეძებდა, ხოლო გამოკითხვიდან მომდევნო ორი კვირის განმავლობაში მუშაობის დასაწყებად მზად იყო.**

სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, რამდენადმე გართულებული სქემაა იმის გასარკვევად, კაცს სამუშაო აქვს თუ არა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი, ალბათ, არ უნდა იყოს, რომ იმავე მშო-ს განმარტებით, **დასაქმებულად ითვლება 15 წელს მიღწეული და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის წინა შვიდი დღის მანძილზე სულ ცოტა ერთ საათს მაინც მუშაობდა ხელფასის, მოგების ან ნატურალური ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ, თანაც უსასყიდლოდ ეხმარებოდა სხვის შიდამეურნეობას, ან რაიმე მიზეზით სამუშაოზე არ იმყოფებოდა, მაგრამ ოფიციალურად გაფორმებული მაინც იყო.** თუ რაოდენ შეესაბამება ასეთი განმარტება საზოგადოებაში დამკვიდრებულ, ასე ვთქვათ, „კლასიკურ“ შეხედულებას „უმუშევარ“ თუ „დასაქმებულ“ კაცზე, თავად განსაჯეთ, ბატონებო. ისე კი, ვისაც საკუთარ ბოსტანში, თუნდაც ხუთი ძირი პამიდორი უდგას და იმას მარგლავს, ოფიციალურად უმუშევრად უკვე აღარ ითვლება. თუ ამ აზრს მივყვებით, საქართველოში, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლად ცხოვრობს, უმუშევრობა, ფაქტობრივად, არანაირი სოციალური პრობლემა არ არის. რაც შეეხება ქალაქების მოსახლეობას, უმუშევართა გუნდში ვერ „მოხვდება“ ის, ვინც სამუშაოს აქტიურად კი ეძებს, მაგრამ შრომის ბირჟაზე ოფიციალური რეგისტრაციის გარეშე. ამდენად, დასაქმების განმსაზღვრელი დებულება იმდენად არასრულყოფილია, რომ კეთილსინდისიერ სტატისტიკოსებსაც არ აძლევს რეალურ არსებული ვითარების მეტ-ნაკლები სიზუსტით წარმოჩენის საშუალებას, რაც, ბუნებრივია, მისი მაღალი მაჩვენებლით თავის მოწონების მსურველ ხელისუფლებას აძლევს ხელს, რასაც ბოლო წლების მანძილზე აკეთებდა კიდეც.

თუ კონკრეტულად ვილაპარაკებთ და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტების ანალიზით ვიმსჯელებთ, **საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წელთან შედარებით მიმდინარე წლის მიწურულისთვის 1,7 პროცენტით გაიზრდება და 16,7 პროცენტს მიაღწევს.** თავისთავად 1,7-პროცენტიანი ზრდა, ალბათ, ქვეყნის დაქცევად არ უნდა აღვიქვათ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს შარშანდელ „დამახსოვრებულ“ 15 პროცენტს უნდა დავუმატოთ, რომელიც, იმედია, დაგვეთანხმებით, რეალურზე, სულ მცირე, 2,5-3-ჯერ მაინც ნაკლებია, შრომისუნარიანი მოსახლეობის 16,7 პროცენტის უმუშევრობა (ანუ, ფაქტობრივად, ყოველი მეექვსე შრომისუნარიანი კაცის) ძალიან ბევრია. სამწუხაროა ასევე ის გარემოებაც, რომ ამ უკიდურესად უარყოფითი ეკონომიკური მაჩვენებლით, რომელიც, პოსტსაბჭოთა სივრცის თითქმის ყველა ქვეყნისგან განსხვავებით, ჩვენში მატულობს, არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ ყოფილ




საბჭოთა კავშირის მასშტაბით ვლიდერობთ.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ იმის გათვალისწინებით, რომ უმნიშვნელო თვითდასაქმებაც უმუშევრობას არ ნიშნავს და ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილის სოფლად ცხოვრების პირობებში, **საქართველოში ყველაზე მეტი ხალხი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ასევე ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებში.** არასაკმარისად განვითარებული ეკონომიკის პირობებში კი სამრეწველო სექტორში დასაქმების დონე ძალიან დაბალია. ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ ქვეყანაში შრომის ბირჟები, ფაქტობრივად, არ არსებობს, რადგან მოთხოვნა იმდენად მცირეა, რომ მათი მოღვაწეობის სარგებელი ნულოვანია. ჰოდა, რა ქნას ხალხმა, ძველ დროს ქუჩა-ქუჩა ყვირილით რომ დადიოდნენ შემოგარენი სოფლების გლეხები: „აბა, მუშა,მუშა, ვის უნდა მუშა-ა!“ ასე ხომ არ გამოდგებიან?!

ამასთან, სამართლიანი იქნება აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო დაახლოებით ხუთი წლის მანძილზე, საქართველოში სეზონურ მუშახელზე მოთხოვნა საგრძნობლად გაიზარდა, რასაც, შესაბამისად, ანაზღაურების მომატებაც მოყვა. კერძოდ, **შარშანდელთან შედარებით ერთი კაცის დღიურმა გასამრჯელომ საშუალოდ 10-15 პროცენტით მოიმატა კახეთში, იმერეთში, შიდა ქართლში, გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც ყურძნის, ვაშლის, ატმის, მარწყვის და ა.შ.კრეფაში, საზაფხულო-საშემოდგომო სამუშაოებზე დღიური ანაზღაურება, სხვადასხვა მხარეში მოთხოვნილებისდა მიხედვით, 15-20 ლარის ფარგლებში მერყეობს.**

ცალკეა აღსანიშნავი, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, **დღესდღეობით ქვეყანაში მილიონ 724 ათასი კაცი ითვლება დასაქმებულად, მათ შორის თვითდასაქმებულია მილიონ 54 ათასი, დანარჩენი დაქირავებულია, რომელთაგან სახელმწიფო სტრუქტურებში ნახევარზე ცოტა ნაკლები, 300 ათასი (45 პროცენტი) მუშაობს. საგულისხმოა ისიც, რომ ამ უკანასკნელთა ყოველთვიური საშუალო შრომითი ანაზღაურება დაახლოებით 1200 ლარია. ამდენად, ფაქტობრივად გამოდის, რომ დაქირავებული მუშახელის მთლიანი რიცხოვნობის თითქმის ნახევარი ქვეყანაში საარსებო მინიმუმზე დაახლოებით 7,5-ჯერ მეტ ანაზღაურებას იღებს, თუმცა კი დოვლათს, არსებითად, არ ქმნის.**

**სიტყვამ მოიტანა და ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ საქართველოში პარლამენტის რიგითი წევრები ყოველთვიურად 3790 ლარს იღებენ, ფრაქციების ლიდერები, კომიტეტების თავმჯდომარეები და ა.შ.– გაცილებით მეტს...**

უმუშევრობის დონის მატებაზე ლაპარაკისას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც, ვინაიდან ისინი მჭიდროდ არიან გადაბმულნი ეკონომიკურ პროცესებს. ამდენად, 1,7-პროცენტიანი ზრდა, ექსპერტთა აზრით, საგანგაშოდ არ უნდა აღვიქვათ. თუმცა ნურც ის დაგვავიწყდება, რომ გაისად მაისში ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები უნდა ჩატარდეს, ამდენად, წლის პირველ ნახევარში მაინც, უმუშევრობის დონის შემცირების პერსპექტივა ერთგვარად საეჭვო ხდება. თუ მარტო სტატისტიკური მონაცემებით ვიმსჯელებთ, უმუშევრობის დონის მიხედვით ჩვენ უახლოეს სამეზობლოში უარესი მდგომარეობა, იმავე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, სომხეთშია (წლის მიწურულს 18,5 პროცენტი), აზერბაიჯანში კი ეს ციფრი გაცილებით მცირეა და წლის დამლევისთვის მხოლოდ 6 პროცენტს გაუტოლდება. ციფრობრივი განსხვავების გარდა მეტად საგულისხმოა უმუშევრობის დონის მაჩვენებლების ცვლილებათა დინამიკის ტენდენციები: თუ სომხეთში ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 0,5 პროცენტით მოიკლებს, აზერბაიჯანში დაახლოებით ერთი პროცენტით გაიზრდება. რაც შეეხება საქართველოს სხვა მოსაზღვრე ქვეყნებს, უმუშევრობის დონე რუსეთში სადღეისოდ მხოლოდ 5,2 პროცენტია, ხოლო თურქეთში კი იგი 9,3 პროცენტს შეადგენს.

**ოთარ ტურაბელიძე**

---

## ვაი, ჩვენს პატრონს!

# ბრავო, გიგი!..

## შენისთანა ბედნიერი განა სხვას ჰყავს სადმე მერი?



**აი, ვინ უნდა თქვას, ქალაქი ქალაქს დავამსგავსეო! აი, ვის უნდა ვუმადლოდეთ, რომ თბილისელი მალე თბილისს ვეღარ იცნობს. ყოჩაღ გიგი! რა ლამაზად ჭრი და კერავ ამ ჩვენს ქალაქს! ჯერჯერობით ის შენია, ის შენ დაიმორჩილე და შენ იცი, როგორ გახდი მას ევროპის ულამაზეს ქალაქ-შუქურად.**

ბავშვობიდანვე თანდაყოლილი ნიჭი რაღაცის გათავისებისა ჯერ სათამაშოებით, შემდეგ სხვისი მანქანით და ბოლოს თვით დედაქალაქით დამთავრდა. განსაკუთრებით კი რიყეს, ძველ ქალაქს, ვაკეს და საბურთალოს დაეტყო შენი მადლიანი ხელი. მიაღწიე იმას, რომ ვერაზე, ვაკეში, საბურთალოზე, ამ მოსახლეობით გადატვირთულ, ბეტონის კოლოფებით ჩახერგილ, უმზეო და უჰაერო რაიონებში ხალხს ცხოვრების სურვილი დაეკარგება და აქაურობა მოსახლეობისგან დაიცლება. ქალაქმშენებლობის ეს ახალი მეთოდი შენ გეკუთვნის, ისევე როგორც რიყის „ჰაი ტეკი“ და ის ბრჭყვიალა ლითონი, რომელიც ასე „აკლდა“ ამ უბანს, ის თეატრალური დეკორაციები, რომელიც ასე „ლამაზად“ აეფარა ძველი თბილისის, „პლეხანოვის“ სახლებს და ოსტატურად დამალა ის სილატაკე და ანტისანიტარია, მათ უკან რომ სუფევს.

შენი წვლილიცაა, რომ დღეს ახალგაზრდა არქიტექტორებმა თბილისის მაგალითზე შეიძლება ისწავლონ და თვალნათლივ დაინახონ თუ როგორ არ უნდა დაიდგას შენობები, რა არის ურბანული ქაოსი და რას ნიშნავს განაშენიანების სიმჭიდროვისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების უგულებელყოფა.

შენ ბავშვობიდანვე ბუნება და მწვანე ფერი გიყვარდა, ალბათ, ბევრჯერ გადაგიკითხავს „ხმელი წიფელი“ და „გველის მჭამელი“ და ესეც დაეტყო თბილისს. როგორც იქნა, ამოიძირკვა ეს მავნე და ალერგიული ჭადრები და მათი ადგილი დაიკავა უფოთლო ხეებმა, რომლებზეც ზოგჯერ ქარის მოტანილი ცელოფნის პაკეტები „შემოჯდება“.

ანდა რა უნდა ხეებს ქალაქში, ამ ხმაურში და გამონაბოლქვში, მით უმეტეს, რომ ავტომანქანების სადგომებად ქცეულ ტროტუარებს ახლა დაჩრდილვა აღარ სჭირდებათ.

შენი მოღვაწეობის სრულად წარმოსაჩენად განა მარტო ასე სამაგალითოდ მოვლილი ვაკის პარკი არ არის საკმარისი? მართალია, შენი აზრით, ის ხანდახან წყლით იტბორება, თუმცა კი, ვაკელები ამას ჯერჯერობით არ შეესწრებიან. მაგრამ შენს მახვილ თვალს ეს არ გამოეპარა და აქაც „ნოუ-ჰაუ“ გვაჩუქე. აბა, ფრანგებს ხომ არ მოაფიქრდებოდათ, მაგალითად, ბულონის ტყეში სანიაღვრე კანალიზაციის მოწყობა?! მერიამ კი „კავკასუს ინვესტთან“ ერთად პერიმეტრული დრენაჟის და ზედაპირული წყლების ღია ღარებით გადაყვანის მეთოდი მიწისქვეშა სანიაღვრე კანალიზაციით შეცვალა და გადათხრილ-გადაჯეგილი ვაკის პარკი კარგა ხნით დაბრკოლებათა გადალახვის სპორტულ მოედნად გადააქცია. და ეს იმ დროს, როდესაც ქალაქის ზოგიერთი რაიონი მუდმივ საფრთხეშია სწორედ ამ სანიაღვრე კანალიზაციის უქონლობის ან მოუწესრიგებლობის გამო. თუმცა ვინ იცის, შეიძლება სამომავლოდ უფრო ღრმა ჩანაფიქრია და ერთი კარგი ელიტური უბანიც ჩაიწეროს ვაკის პარკის წიაღში, რისი ნიშნებიც დღითი დღე უფრო ცხადი ხდება.

ახლა თუ ცოტა ზევით ავიწევით, კუს ტბის გზასთან ახლოს, სადაც ციყვები და ბავშვები ასე უდარდელად თამაშობდნენ უბეტონო და უასფალტო სივრცეში, მხოლოდ ბანალური ნაძვებით და მწვანე ბალახით გარემოცულნი, შენ მოიაზრე ერთი რესტორანი, რომელიც ასე აკლდა თბილისს და რომელსაც ალბათ „გაჩეხილში“ დაერქმევა.ის გააზავებს აქაურ ოზონს მწვადის და ჩაქაფულის სუნით და კუს ტბისკენ მიმავალ დაღლილ მგზავრებს დაანაყრებს.

ბრავო გიგი! დღეს შენია ჩვენი ქალაქი. მიდი, მიაწექი, იმოღვაწე! დრო ჯერ კიდევ გაქვს...

შენი ფანი,
**გურამ გაბუნია.**

---

## ალიან-ჩალიანი

### „რესპუბლიკელებს“ ახალი თავმჯდომარე ჰყავთ

**„საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარედ გუშინდელ ყრილობაზე ხათუნა სამნიძე აირჩიეს. იგი 2005 წლიდან „რესპუბლიკური პარტიის“ წევრია. 2013 წლის სექტემბრიდან ის „რესპუბლიკური პარტიის“ ეროვნული კომიტეტის წევრი და საორგანიზაციო მდივანი იყო.**

**როგორც სამნიძემ განაცხადა, მისთვის ეს დღე არის სასიხარულო და ის მადლობას უხდის პარტიის ყველა წევრს მხარდაჭერისთვის.**

**სამნიძეს პარტიის თავმჯდომარედ არჩევა მიულოცა უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, ხათუნა სამნიძე „რესპუბლიკური პარტიის“ აქტიური წევრია და მან ყოველდღიური შრომით და გარჯით მოიპოვა სერიოზული ავტორიტეტი პარტიაში.**

**თავმჯდომარის არჩევამდე კი პარტიამ აირჩია ეროვნული კომიტეტი 35-კაციანი შემადგენლობით, ასევე, სარევიზიო საბჭო. სწორედ ეროვნულმა კომიტეტმა არჩევნების შედეგად გამოავლინა „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე.**

ინტერპრესი

# სახელმწიფო, მამხილებელი და დაუსჯელობის სინდრომი



## გვესაუბრება უფლებადამცველი, HUMAN RIGHTS WATCH-ის წარმომადგენელი გიორგი გოგია

**— ბატონო გიორგი, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე და მას შემდეგაც ე.წ. ციხის კადრების გამომზეურების შემდეგ, არაერთხელ გაისმა ცნობა იმის შესახებ, რომ ეს ჩანაწერები ევროპაშია გატანილი (კერძოდ, ბელგიაში), რომ ისინი აჩვენეს სხვადასხვა უფლებადაცვით ორგანიზაციებს. თუმცაღა ინტერნეტში ევროპელი ჟურნალისტების მიერ ამგვარი ინფორმაციის დაფიქსიერების ვერანაირი ცნობა ვერ მოვიპოვე. პირადად თქვენთვის ხომ არაა ცნობილი ვის მიმართა, მაგალითად, ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმა და ვინმემ მოგმართათ თუ არა თქვენ (თუნდაც მედიაკავშირ „ობიექტივიდან“) ანდა ზოგადად Human Rights Watch-ს ამ კადრებზე რეაგირების (გასაჯაროების) თხოვნით. ამ კითხვას ადრესატი იმიტომ გაძლევთ, რომ თქვენი ორგანიზაცია დიდი ხანია ცნობილია, როგორც საქართველოში პენიტენციური სისტემის მაკრიტიკებელი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ლამის ყველა ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგს ატარებს.**

— ჩვენთვის არავის მოუმართავს. არც ის ვიცი, ვის მიმართეს, მაგრამ პასუხი თქვენს კითხვაზე მარტივია: ჩვენთვის არავის მოუმართავს არც საქართველოდან, არც ევროპიდან და არც სხვა რეგიონალური ოფისიდან. ჩვენ „ციხის კადრების“ შესახებ მაშინ შევიტყვეთ, როცა ისინი მედიით გასაჯაროვდა და როცა ამის შესახებ მთელმა საქართველომ შეიტყო. ამას მოჰყვა „ჰიუმან რაითს ვოტჩის“ მყისიერი რეაქცია. ციხეში ამგავრი ძალადობის შესახებ ინფორმაციას მანამდე ჩვენ არ ვფლობდით. ბუნებრივია, თუ ამგვარი ინფორმაციით ვინმე მოგვმართავდა, ამას მოჰყვებოდა ჩვენი მყისიერი რეაგირება.

**— საინტერესოა, არსებობს თუ არა ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების ლოკალური თუ გლობალური ქსელი, რომელიც ერთობლივად, ოპერატიულად რეაგირებს საერთაშორისო კონვენციით აკრძალული ისეთი მძიმე დანაშაულის შეტყობინებისთანავე, როგორიცაა სახელმწიფო დაწესებულებაში წამება/გაუპატიურება იმ შემთხვევაში, თუ ეს თუნდაც ერთი უფლებადაცვითი ორგანიზაციისთვის ხდება ცნობილი.**

— არსებობს მრავალი კოალიცია (ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო), რომელიც სხვადასხვა თემის გარშემო ერთიანდება და აკეთებს ერთობლივ განცხადებას. „ჰიუმან რაითს ვოტჩს“ სხვებთან ერთად ხშირად გაუკეთებია ერთობლივი განცხადება, მაგრამ ამგვარ ერთიანობას ფორმალური კოალიციის სახე არ ჰქონია. ჩვენთვის არავის არაფერი უცნობებია.

**— როგორც ცნობილი გახდა, ციხეში წამებისა და არადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეომასალა 2012 წლის სექტემბრის მიწურულამდე გაცილებით ადრე გაჩნდა. არის თუ არა ეს დანაშაულის დაფარვის მცდელობა და როგორ ფიქრობთ, შესაძლებელი იყო თუ არა ინტერნეტის ეპოქაში ეს კადრები თუნდაც თქვენთვის ან ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციისთვის ინტერნეტით ოპერატიულად გადაეგზავნათ სწორედ პატიმრების შემდგომი წამების თავიდან აცილების მიზნით, თქვენ გაგესაჯაროვებინათ იგი, ანდა უფრო დეტალურად დაინტერესებულიყავით მათი ფაქტობრიობით და კონვენციით აკრძალული ქმედების აღმოფხვრელად საქართველოს ხელისუფლებისგან შესაბამისი პასუხი მოგეთხოვათ?**

— არ ვიცი, რატომ მოიქცნენ ასე და რა ლოგიკით იხელმძღვანელეს. ისიც არ ვიცი, რატომ უფრო ადრე არ გაასაჯაროვეს, არ მოგვაწოდეს და, საერთოდ, ჩემთვის უცნობია, როდის შეიქმნა ეს კადრები. ადამიანის წამება ყველაზე მძიმე დანაშაულია. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარების პირობებში არსებობს გარკვეულწილად მათი, ასე ვთქვათ, ადმინისტრირების წესი, როცა ზოგჯერ ხდება, მაგალითად, სიტყვის, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. მაგრამ წამება და არადამიანური მოპყრობა — ეს არის ყოვლად დაუშვებელი ქმედება და არ არსებობს სიტუაცია, რა შემთხვევაშიც წამება იქნებოდა დასაშვები ან გამართლებულ ქმედებად აღიარებული. ყველა შემთხვევაში ხელისუფლებას აქვს სრული ვალდებულება, როგორც კი ამგვარი ინფორმაცია ხელთ ჩაუვარდება, გამოიძიოს და დამნაშავეები დასაჯოს. რაც შეეხება დანაშულის დამალვას, ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო კანონმდებლობა არ არსებობს, თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამის მუხლს, რომელიც ინფორმაციის დამალვა-დაფარვას მოიცავს და რაც გამოსაძიებელია. რატომ არ გაასაჯაროვეს ადრე, ამას, ალბათ, რაღაც ლოგიკა აქვს, მაგრამ ამ კითხვაზე ვერ გაგცემთ პასუხს. არ ვიცი, არ შევხვედრილვარ და არ ვიცი, რატომ მოიქცნენ ასე. იმდენად მძიმე დანაშაულზეა საუბარი, ვის ხელშიც არ უნდა ჩავარდნილიყო, როგორადაც არ უნდა გასაჯაროვებულიყო, ეს სახელწიფოსგან მყისიერ რეაგირებას მოითხოვდა.

**— მაგრამ სწორედ რომ ბედუკაძე იყო სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც კიდეც აწამებდა და კიდეც იღებდა წამების სცენებს.**

— არსებობს ტერმინი და ცნება Whistle Blower (მამხილებელი), რომელიც ცალკე განსახილველი შემთხვევაა. ესაა ადამიანი, რომელსაც დახურული სისტემიდან, დაწესებულებებიდან (სამხედრო დაწესებულებები, ციხე, გარკვეული ტიპის კორპორაცია და ა.შ.)ინფორმაცია გამოაქვს. მისი ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიძლება შეიცავდეს, მაგრამ მის მიმართ დასაშვებია გარკვეული ფაქტორების გათვალისწინება. ამ შემთხვევაში Whistle Blower-თან დაკავშირებით გარკვეული შეღავათები არსებობს, მაგრამ ისევ ხაზს ვუსვამ: წამება არის აბსოლუტურად აკრძალული დანაშაული, ხელისუფლება ვალდებული იყო სრულად გამოეძიებინა წამებაში ამ პიროვნების (Whistle Blower-ის) როლი და დაუშვებელი იყო მისთვის ყველაფრის მიტევება. „ვისელ ბლოუერობა“ სასამართლოზე მხოლოდ შემამსუბუქებელ გარემოებად შეიძლება განხილულიყო. ეს არ შეიძლება იყოს იმის პირობა, რომ კაცი სრულად გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხიმგებლობისგან, საქართველოს კანონმდებლობითაც კი, როცა ასეთი გადაწყვეტილება გენპროკურორის სრული დისკრეციაა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებისას, იქაც კი არის გარკვეული აკრძალვები და პიროვნების, რომელიც ეჭვმიტანილია წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება თუ საპროცესო გარიგების დადება წარმოუდგენელია. აქ პრობლემა ისიც არის, რომ მისი გათავისუფლება მოხდა არა პასუხისმგებლობისგან, არამედ — სასჯელისგან. ჩვენთვის არ იყო ცხადი, თუ რამდენად მონაწილეობდა იგი წამებაში, იმ ქმედებაში, რომლის შესახებაც ხელისუფლება გვეუბნება, რომ მას სისტემური ხასიათი ჰქონდა. ჩვენთვის ცნობილი არაა, ბედუკაძის როლი სრულად გამოიძიეს თუ არა. ასევე დაუშვებელია საპროცესო გარიგებების დადება ამგვარი დანაშაულის განხილვისას, რამაც ზოგადად შეიძლება იმოქმედოს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრევენციულ ღონისძიებებზე.

**— „ჰიუმან რაითს ვოტჩი“ ანდა სხვა ორგანიზაცია ამგვარი მტკიცებულებების ხელში ჩაგდების შემთხვევაში, ითვალისწინებს თუ არა მოწმეების (გნებავთ, ვიდეოკადრების, ქაღალდის დოკუმენტაციის გამგზავნის და ა.შ.) დაცვის ხერხებს და ყოფილა თუ არა უფლებადაცვით ისტორიაში მოწმის დაცვის ამგვარი „ქეისები“?**

— როცა „ჰიუმან რაითს ვოტჩი“ ანგარიშს გამოსცემს, იგი ყოველთვის ეყრდნობა ღია და დახურულ წყაროს. პიროვნება შეიძლება იმყოფებოდეს საფრთხის ქვეშ, ანდა არსებობდეს შურისძიების საფრთხე, მით უმეტეს, როცა არსებობს წამებისა და გაუპატიურების შემცველი ინფორმაცია. ყველას ვერ მოსთხოვ ყველაფერი გაასაჯაროოს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსხვერპლისა და მოწმის უსაფრთხოება. რა თქმა უნდა, ჩვენ ვცვლით სახელს, გარკვეული მექანიზმებით ვფარავთ მას ან ხმამაღლა არ ვააშკარავებთ გარემოებებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს წყარო არ არსებობს და ან ჩვენ არ გვყავს ამგვარი წყარო, ანდა ამ წყაროს სანდოობაში ეჭვი გვეპარება, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიძლება დავფაროთ.

**— რადგან ბედუკაძეც მამხილებელის როლშია, ხომაა შესაძლებელი რომ მასაც სჭირდებოდეს დაცვა, ანუ ეს კაციც საფრთხის ქვეშ იმყოფებოდეს. ამ შემთხვევაში ციხეში ის უფრო მეტად დაცული არ იქნებოდა, ვიდრე გარეთ?**

— „ჰიუმან რაითს ვოტჩს“ მოწმის დაცვის პროგრამა არა აქვს და როცა პოლიტიკურრელიგიური თუ სხვა მიზეზის გამო ადამიანები ხშირად გარბიან ქვეყნიდან და სხვის ტერიტორიაზე პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ, მათ შემდგომ ეტაპზე სახელმწიფო შემდგომ იცავს და არა არასამთავრობო. თუმცაღა არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ასეთ ადამიანებს დახმარებას უწევენ, თუნდაც ქვეყნის დატოვების საქმეში ან სხვაგვარადაც, თუმცა, ჩვენ ამგვარი პროგრამა არა გვაქვს.

**— არაერთხელ ითქვა, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში საქართველოს ციხეებში წამების შესახებ აღნიშნული იყო. მაგრამ მაშინდელი პარლამენტარები თუ ჩინოვნიკები (მათ შორის, პრეზიდენტი) პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ და არა მარტო ამ პარტიიდან (პარლამენტში სხვა პარტიებიც იყვნენ) ამბობენ, რომ მათთვის ეს არ იყო ცნობილი. წამების ამსახველი კადრების ავტორები და მოწმეები ასევე საუბრობენ, რომ წამების ფაქტები აისახებოდა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ და ეს გამოცემა მუდმივად წერდა ამის შესახებ. გასაგებია, რომ ეს უკანასკნელი ყვითელი პრესაა და პარლამენტარს ვერ დაავალდებულებ ამგვარი კატეგორიის მედიით დაინტერესებას, მაგრამ გამოდის, რომ სახალხო დამცველის ანგარიშსაც არ კითხულობდნენ. როგორ ფიქრობთ, საქმე გვაქვს ტრივიალურ დაუდევრობასთან, როცა საქართველოში, ფიგურალურად რომ ვთქვათ, არავინ კითხულობს ფეისბუქის სტატუსზე გრძელ ტექსტს, თუ საქმე გვაქვს მიზანმიმართულ სამსახურებრივ გულგრილობასთან, დანაშაულის დაფარვასთან, როცა საჯარო მოხელეები აღნიშნულ შემაშფოთებელ ფაქტებზე არ რეაგრებენ?**

— მოდით, უფრო ცხადი გავხადოთ ინფორმაციისადმი დამოკიდებულების კონცეპტი. კითხვა ასე ჟღერს — ვის ევალება რეაგირება? უპირველეს ყოვლისა, ეს ევალება პროკურატურას და საგამოძიებო ორგანოებს. და თუ არსებობდა წამების შემცველი მასალა, რეაგირება მყისიერი უნდა ყოფილიყო, რადგანაც არსებობს წამების აბსოლუტური აკრძალვის მუხლი, ამიტომ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადამიანის წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას ეხება, უნდა მიეწოდებოდეს სახელმწიფო სტრუქტურებს, კონკრეტულად კი პროკურატურას და პროკურატურა ვალდებული იყო გამოძიება დაეწყო და დაედგინა, იყო თუ არა ამგვარი ფაქტი. რაც შეეხება პარლამენტარს, მას ამ ფაქტის ცოდნის, გაგების, წაკითხვის შემთხვევაში უნდა მიემართა პროკურატურისთვის, რადგანაც ეს არის ერთადერთი ორგანო, რომელიც ვალდებულია ქვეყანაში გამოძიება ჩაატაროს. რაც შეეხება ტერმინს „თანამდებობრივი გულგრილობა“, ამ შემთხვევაში ამგვარი განსაზღვრება არასამართლებრივ შეფასებას წარმოადგენს.

**— პარლამენტარი კანონმდებელია, მან აღმასრულებელი ორგანოც უნდა აკონტროლოს. თუ ასეთ ინფორმაციას აღმოაჩენს, მას არ უნდა მიემართა საგამოძიებო ორგანოსთვის?**

— პარლამენტარები კითხულობენ ომბუდსმენის ანგარიშს, მედიას, მერე ღებულობენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას და ამბობენ, რომ სახალხო დამცველის ანგარიში ცნობად მიიღეს.

**— ფაქტია, რომ ციხის კადრებამდე სახელმწიფოს რეაგირება არ იყო.**

— კანონი კანონმდებლებს სახალხო დამცველის მიერ დაწერილი ანგარიშის ცნობად თუ სხვაგვარად მიღებას სულაც არ ავალდებულებს. არ არსებობს კანონი, რომელსაც ისინი არღვევენ ან არ არღვევენ ცნობად მიღებით თუ არმიღებით ანდა მასზე სხვგვარი რეაგირებით.

**— და თუ პროკურატურა გულგრილია?**

— პროკურატურა არის საგამოძიებო ფუნქციის ორგანო და იგი ამგვარი ფაქტების მიმართ გულგრილი ვერ იქნება. გამოძიება მისი ვალდებულებაა. მე არ ვიცი, „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული მასალა მიდიოდა თუ არა პროკურატურამდე, გასარჩევია ყველა კონკრეტული შემთხვევა და, ამავე დროს, პროკურატურას შეუძლია თქვას, ეს ინფორმაცია ჩემამდე არ მოდიოდაო. სახალხო დამცველის ანგარიშში კი წამება არ იყო ნახსენები, რადგანაც ომბუდსმენის მიხედვით ეს არ მომხდარა და თუ ამის შესახებ სახალხო დამცველი გაიგებდა, იგი პროკურატურას მაშინვე მიმართავდა. თუ ეს მედიაში მართლა იბეჭდებოდა, მაშინ ნამდვილად არ ვიცი, რატომ არ რეაგირებდა პროკურატურა. ის კი არა, სიტყვა „წამება“, როგორც ასეთი, საქართველოში არსებული მდგომარეობის ამსახველ ბოლოდროინდელი ანგარიშებიდან ამოვარდნილიც იყო. მახსოვს, არსებობდა სპეციალური უწყებათაშორისი კომისია, რომელიც მუშაობდა ქვეყანაში გარკვეული დარგის საკანონმდებლო ღონისძიებებზე და ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა, რომ ტექსტის სათაურიდან სიტყვა „წამება“ ამოეღოთ და „არაადამიანური მოპყრობით“ შეეცვალათ, რადგანაც ხელისუფლება დარწმუნებილი იყო, რომ წამება ქვეყანაში დამარცხებული იყო და სიტყვა „წამების“ ხსენება არ მიესადაგებოდა იმ გეგმას, რაზეც უწყებათაშორისი კომისია მუშაობდა. ეს ცინიზმია, რადგანაც არა თუ არ არსებობდა, არამედ — პირიქით, აღმოჩნდა, რომ წამება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.

**— როგორ ფიქრობთ, როცა „სკანდალური კადრების“ ავტორები საუბრობენ ამ ვიდეოკადრების ვერგასაჯაროებაზე (ვგულისხმობ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიწოდების სიძნელეზე) და მათი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების თაობაზე, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ამის შესახებ მედიურ გამოცემას, რომლის ფუნქცია სწორედ ინფორმაციის გავრცელებაა, აწვდიან და არ ეშინიათ ამის, არის თუ არა ეს წინააღმდეგობრივი მდგომარეობა? ანუ, ერთი მხრივ, ქართულ მედიას, ოღონდ ქსენოფობურსა და ჰომოფობურს აწვდიან ამ ინფორმაციას და ცნობილია, რომ „ასავალ-დასავალი“ საკმაოდ რეიტინგული გაზეთია და მას ბევრი კითხულობს, მეორე მხრივ — ეშინიათ წამების ფაქტების გასაჯაროების და იმისიც, რომ ეს კადრები თუნდაც „იუთუბზე“ ატვირთონ.**

— ზოგადად გამბედაობა ძალიან ინდივიდულური გრძნობაა და ყველას ვერ მოსთხოვ, გმირი იყოს. ზოგმა შეიძლება, თავი გადადოს, არსადაც არ გაიქცეს, ინფორმაცია გაასაჯაროოს, დღე და ღამე იყვიროს, გიჟად მონათლონ და ამგვარ სტრატეგიაში შეიძლება აზრიც დევს, მაგრამ შეიძლება ვინმე ქვეყნიდან ერთი სატელეფონო ზარის გამოც გაიქცეს. ეს არის ძალიან ინდივიდუალური და ვერავის მოსთხოვ, გმირობა ჩაიდინოს. ეს ყველაფერი პიროვნებაზეა დამოკიდებული. ცნება „გმირობა“ არაა სამართლებრივი ნორმა და ჩემი მხრიდან არ იქნებოდა სწორი მისთვის სამართლებრივი შეფასება მიმეცა. რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, თუ ადამიანებს ინფორმაციის გავრცელებისთვის საშიშროება ექმნებოდათ და რომ ქვეყანაში ამგვარი საშიშროება არსებობდა.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

**(დასასრული იქნება)**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ივანიშვილმა საქართველოს პრემიერის პოსტზე თავისი მემკვიდრე დაასახელა

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეცვლის ამჟამინდელ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს პრემიერის პოსტზე.** შეგახსენებთ, რომ ივანიშვილი, საკუთარი განცხადების თანახმად, გადადგება 24 ნოემბერს. ივანიშვილმა ღარიბაშვილის კანდიდატურა მომავალი პრემიერის პოსტზე წარადგინა საპარლამენტო უმრავლესობის „ქართული ოცნების" ლიდერებთან და პარლამენტარებთან შეხვედრის შემდეგ.

**„ირაკლი ღარიბაშვილმა სამინისტროს ხელმძღვანელობის დროს დაადასტურა, რომ იქნება ღირსეული პრემიერ-მინისტრის პოსტზე. პრემიერს მეტი უფლება ექნება, და ირაკლი შეესაბამება ამ პოსტს... საქართველოს ეყოლება ევროპული ეფექტური მთავრობა და ღირსეული პრემიერ-მინისტრი",** — განაცხადა ივანიშვილმა 2 ნოემბერს.

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის შემდეგ, 17 ნოემბერს, ძალაში შედის ახალი კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც მცირდება პრეზიდენტის სახელისუფლებო უფლებამოსილებანი და მთავარი ფიგურანტები ხდებიან პრემიერი და საქართველოს პარლამენტი. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ოფიციალურად წარუდგენს პარლამენტს ღარიბაშვილის კანდიდატურას, მან შვიდი დღის განმავლობაში უნდა ჩამოაყალიბოს მინისტრთა კაბინეტი და წარუდგინოს იგი პარლამენტს დასამტკიცებლად სამთავრობო პროგრამასთან ერთად. შემდეგ პარლამენტმა შვიდი დღის განმავლობაში უნდა გამოუცხადოს ნდობა მთავრობას პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა დაასახელა მისი კანდიდატურა, ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ განიცდის „დიდ ბედნიერებას" მისთვის გაწეული ნდობის გამო.



### ახალი პრემიერ-მინისტრი

**31 წლის ირაკლი ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის კაბინეტში ყველაზე ახალგაზრდა მინისტრია, რომელთანაც მას თანამშრომლობის ათობით წელი აკავშირებს და, თავად ივანიშვილის სიტყვებით, მეგობრობაც. განათლებით ღარიბაშვილი საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტია, რომელსაც იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პარიზის სორბონის უნივერსიტეტში.**

2004-დან 2012 წლამდე მას ეკავა ხელმძღვანელი პოსტები „ქართუ ჯგუფის" კომპანიაში, რომელიც ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. 2006 წელს ღარიბაშვილი იყო საქართველოში სან-მარინოს რესპუბლიკის საპატიო კონსულის პირადი წარმომადგენელი. 2012 წელს იგი გახდა პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" ერთ-ერთი დამაარსებელი. „ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ პარლამენტის არჩევნებში 2012 წლის ოქტომბერში ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი უკავია.

### ოპოზიციის აზრი

**საპარლამენტო ოპოზიციამ განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურას საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტზე.** თუმცა აღსანიშნავია, რომ მმართველ „ქართულ ოცნებას" პარლამენტში აქვს საკმაო ხმების რაოდენობა, რომ დაამტკიცოს ახალი პრემიერის კანდიდატურა საპარლამენტო უმცირესობის მხარდაუჭერლადაც. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ამტკიცებენ, რომ ღარიბაშვილს არ გააჩნია სათანადო კომპეტენცია ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის.

### „უკიდურესად ერთგული"

**ექსპერტმა ზაალ ანჯაფარიძემ, როდესაც „ამერიკის ხმასთან" კომენტარს უკეთებდა საქართველოს ახალი პრემიერის კანდიდატურას, მის პლუსებთან ერთად აღნიშნა, რომ ერთი წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელძღვანელის პოსტზე ყოფნის დროს ღარიბაშვილმა თავი გამოიჩინა, როგორც „კარგმა მენეჯერმა", რომელმაც შეძლო ძალოვანი სტრუქტურების „დეპოლიტიზირება".** ანჯაფარიძის სიტყვებით, ღარიბაშვილის სხვა ღირსებებზე „რთულია მსჯელობა", ვინაიდან მინისტრის პოსტზე მისი ყოფნის დროს ვერ გაიხსნა რამდენიმე „გახმაურებული" საქმე, აგრეთვე ქვეყანაში გაუარესდა კრიმინალური სიტუაცია, თუმცა ამ შემთხვევაში, მიაჩნია ექსპერტს, მხოლოდ ღარიბაშვილის დადანაშაულება „არასწორი იქნებოდა", თუ გავითვალისწინებთ ფართომასშტაბიან ამნისტიას, რომელიც განხორციელდა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ, აგრეთვე პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებულებებს მთელი რიგი პიროვნებების, მათ შორის სადავო ფიგურების შეწყალების შესახებ.

**„ღარიბაშვილი ივანიშვილის უკიდურესად ერთგული პიროვნებაა და მისი დასახელება პრემიერის პოსტის კანდიდატად ნაწილობრივ სწორედ ამ ფაქტორითაა გამოწვეული. ეს ყოველივე იწვევს ეჭვს, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ივანიშვილი შეინარჩუნებს თავის გავლენას მასზე. ღარიბაშვილს არ გააჩნია პოლიტიკური გამოცდილება, ასე რომ, მიმაჩნია — იგი იქნება პრემიერი მხოლოდ ტექნიკურ საკითხებში",** — ასკვნის ექსპერტი.

### „ის ქვეყანა არაა"...

საერთაშორისო პოლიტიკის სპეციალისტი, საქართველოს სახელმწიფო მართვის ინსტიტუტის პროფესორი თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ, მიუხედავად პოსტიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლისა, იგი, ალბათ, შეინარჩუნებს თავის გავლენას ახალ პრემიერ ღარიბაშვილზე, ძნელად რომ იგი ამას გააკეთებდა სხვა მინისტრებთან.

**„საქართველოში დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება განვითარების ისეთ დონეზეა, რომ ძნელად რომ შესაძლებელი იქნება ქვეყნის მართვა ერთპიროვნულად და, მით უმეტეს, კულისებიდან. საქართველოს მოსახლეობა, რომელიც აქტიურადაა ჩართული პოლიტიკურ პროცესებში, აგრეთვე ძლიერი ოპოზიცია ამის საშუალებას არ მოგვცემენ, საქართველოს უახლოესი ისტორია ადასტურებს ამას",** — განაცხადა ექსპერტმა ჩვენთან საუბარში.

# საქართველოს ახალ პრემიერს შეიძლება გამოცდილების უქონლობამ შეუშალოს ხელი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს საზოგადოებრიობას თავისი მემკვიდრე წარუდგინა. ის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ამჟამინდელი ხელმძღვანელი ირაკლი ღარიბაშვილია.**

ღარიბაშვილის კანდიდატურამ მოიპოვა მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების" ლიდერების მხარდაჭერა. ახლა მას პრემიერის პოსტს არსებითად მხოლოდ ტექნიკური პროცედურები აშორებს — მისი კანდიდატურა წარდგენილი იქნება საქართველოს პრეზიდენტის დასამტკიცებლად, შემდეგ ღარიბაშვილმა უნდა მოიპოვოს პარლამენტის მხარდაჭერა.

ანალიტიკოსების აზრით, ეს არ იქნება პრობლემა — პრემიერს დაამტკიცებს უკვე საქართველოს ახალი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც „ქართულ ოცნებას" წარმოადგენს. ოპოზიციას კი პარლამენტში არ ჰყოფნის ხმები, რომ ხელი შეუშალოს მის დანიშვნას.

**„ერთი წლის განმავლობაში ღარიბაშვილმა შეძლო ქართული პოლიცია ევროპული ტიპის კულტურულ პოლიციად ექცია. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ეს პოსტი შესთავაზეს სწორედ ირაკლის. ის ამას იმსახურებს, მე და ჩემი გუნდის წევრები დარწმუნებული ვართ, რომ იგი ღირსეული პრემიერ-მინისტრი გახდება",** — განაცხადა ჯერ კიდევ საქართველოს მთავრობის მოქმედმა ხელმძღვანელმა ბიძინა ივანიშვილმა თბილისში სპეციალურ ბრიფინგზე.

თავად პრემიერობის კანდიდატმა, როდესაც იმავე ბრიფინგზე გამოდიოდა, მადლობა გადაუხადა კოალიციას ნდობისთვის და განაცხადა, რომ აპირებს გააგრძელოს „ივანიშვილის მიერ დაწყებული მშენებლობის კურსი".

### გამოცდილების უქონლობა - არ არის დაბრკოლება?

**მომავალი პრემიერი 31 წლისაა. ის სწავლობდა იურისტპრუდენციასა და საერთაშორისო სამართალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საზღვარგარეთ — პარიზის სორბონაში. საქართველოში 2012 წლის პარლამენტის არჩევნებამდე ღარიბაშვილი სათავეში ედგა ივანიშვილის „ქართუს" საქველმოქმედო ფონდს. ღარიბაშვილმა ქართულის გარდა იცის ინგლისური, ფრანგული და რუსული ენები.**

ღარიბაშვილი ძალიან ახალგაზრდაა, ამბობს ქართველი პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე და აღნიშნავს, რომ საინტერესო იქნება თვალყური გავადევნოთ მის პოლიტიკურ ზრდას. საყვარელიძეს მიაჩნია, რომ თუ ივანიშვილი ზოგიერთი მეთვალყურისთვის ასოცირდება რუსეთთან, ვინაიდან იყო მასთან დაკავშირებული თავისი წარსულითა და ბიზნეს-ინტერესებით, ახალი პრემიერი ნეიტრალურ ფიგურად გვეჩვენება.

ღარიბაშვილს არცთუ ისე დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს პოლიტიკაში, ისევე როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში, აღნიშნავენ საქართველოს პოლიტიკური ექსპერტები.

**„მას გაუჭირდება კავშირურთიერთობებისა და გამოცდილების გარეშე",** — მიაჩნია ექსპერტს საერთაშორისო ურთიერთობებში სერგი კაპანაძეს. ამავე დროს კაპანაძე აღნიშნავს, რომ ივანიშვილის მემკვიდრეს კარგი პროფილური განათლება აქვს, რაც მას აუცილებლად გამოადგება უცხოელ კოლეგებთან მოლაპარაკებაში.

დეპუტატი კოალიცია „ქართული ოცნებიდან" დავით ბერძენიშვილი არ მიიჩნევს, რომ გამოცდილების უკმარისობა პრობლემა გახდება ახალი პრემიერისთვის. **„მთავრობა მუშაობს ეფექტიანად, ჩვენ გვყავს გუნდი, რომელიც მუშაობს სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის, საგარეო პოლიტიკური მიმართულებითაც",** — განაცხადა მან ბი-ბი-სის რუსეთის სამსახურთან საუბარში.

საქართველოს მოქმედი პრემიერი, მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი გადადგება ნებაყოფლობით. მას განზრახული აქვს წავიდეს პოლიტიკიდან, გადავიდეს არასამთავრობო სექტორში. ამავე დროს ივანიშვილმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს თავისი ხუთმილიარდზე მეტი ქონების დიდი ნაწილი დააბანდოს საქართველოს სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტებში.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**ტაილანდის სანაპიროსთან ჩაძირული ბორნის კაპიტანზე გამოცხადებულია ძებნა**

**თვითმხილველთა სიტყვებით უკვე ცნობილია, რომ სამაშველო საშუალებები ყველას არ ეყო, მგზავრები კი არავის გაუფრთხილებია მოსალოდნელ საფრთხეზე. გადატვირთული ბორანი უმალვე ჩაიძირა მას შემდეგ, რაც ტუმბოებმა ველარ შეძლეს წყლის ამოქაჩვა, შეშინებული ტურისტები კი ზედა გემბანზე გაიქცნენ.**

* * *

**ბოლივიაში ავიაკატასტროფის მსხვერპლი 8 კაცი გახდა. პრეზიდენტმა გასცა განკარგულება დასაჯონ ავიაკომპანია**



**მანქანა დაიმსხვრა ბრაზილიასთან საზღვარზე ქვეყნის ჩრდილოაღმოსავლეთში დაჯდომის დროს. როგორც ერთ-ერთმა ადგილობრივმა ექიმა აღნიშნა, „მსხვერპლთა შორის არიან მამაკაცები და ქალები, შესაძლებელია ბავშვებიც". კიდევ ექვსი კაცი დაიჭრა.**

* * *

**იწყება ეგვიპტის ექსპრეზიდენტ მურსის სასამართლო. კაიროში შემოღებულია უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები**



**სახელმწიფოს ყოფილი მეთაური მუჰამად მურსი ეგვიპტის სამხედრო-საჰაერო ძალების შვეულმფრენით კაიროს გარეუბანში პოლიციის აკადემიის ტერიტორიაზე მიიყვანეს, სადაც გაიმართება სასამართლო. თუ მურსისა და „მუსლიმი ძმების" სხვა ლიდერების ბრალეულობა დამტკიცდება, მათ ემუქრებათ სამუდამო პატიმრობა ან სიკვდილით დასჯაც კი.**

* * *

**სირიის ოპოზიცია არ მიიღებს მონაწილეობას „ჟენევა-2"-ში, თუ კონფერენციაზე ჩავლენ ირანის წარმომადგენლები**

**ოპოზიციონერები ასევე უარს იტყვიან „ჟენევა-2"-ში მონაწილეობაზე, თუ მისი დაწყების წინ არ იქნება განსაზღვრული სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის გადაყენების დროებითი ფარგლები. უფრო მეტიც, ოპოზიციური კოალიციის ხელმძღვანელმა მსოფლიო გაერთიანებისგან მოითხოვა, მიიღოს „ზუსტი გადაწყვეტილება" სირიელი ხალხისთვის შეიარაღებული დახმარების შესახებ, დაგვპირდეს, „რომ ეს იარაღი არ მოხვდება არასწორ ხელში".**



შაბათ-კვირის ჩანაწერები

# ორი პრემიერი

შემოვიდა იმ დღეს რედაქციაში ბატონი ნოდარ ჭითანავა, შემოგვთავაზა, ჩეულებისამებრ, სტატია ქართული ეკონომიკის დღევანდელ მდგომარეობაზე, დარბაისლურად გვესაუბრა, მოიგონა ამ მთისა, იმ ბარისა, მერე სხვათა შორის გვითხრა, თუ დაბეჭდავთ ამ წერილს, ხო კაი, თუ არადა, ქვეყანა არ დაიქცევაო, და გულითადად დაგვემშვიდობა.

ეს მომენტი წამოტივტივდა გონებაში რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც ერთ-ერთ ტელეარხზე, საქართველოს ახალი პრემიერი წარუდგინა საზოგადოებას ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა.

ვუყურებ და ვუსმენ ამ წარდგინებას, თან უკვე ხანშიშესულ ნოდარ ჭითანავაზე ვფიქრობ, რომელიც მთელი ცხოვრება საბჭოთა საქართველოს ეკონომიკურ სიძლიერეს ემსახურა, არც რაიკომის მდივნობა დაჰკლებია და, ბოლოს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (ანუ პრემიერ-მინისტრი) იყო. ბევრი ყიამყრალი დადის ამ ქვეყნად, მაგრამ ავადმახსენებელი ნოდარ ჭითანავასი, რომელმაც მთელი ცხოვრება უმაღლეს თანამდებობებზე გაატარა, მე არავინ მინახავს. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოსთვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა, ისე გამოეთხოვა საბჭოთა სისტემას, რომ ერთი მწიკვლი კორუფციისა არ შეხებია.

ჰოდა, დადის იგი დღეს შუბლგახსნილი, ვალმოხდილი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, უამრავი მნიშვნელოვანი სტატიის ავტორი ეკონომიკის საკითხებზე... ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარი, რაც, დიახაც, გვეამაყება მთელ რედაქციას... ასე იყო ამ რამდენიმე დღის წინათაც...

...ახასიათებს ბატონი ბიძინა ივანიშვილი ირაკლი ღარიბაშვილს. რამდენიმე ვარიანტის შემდეგ სწორედ მას – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს სრულიად ახალგაზრდა კაცს ანდო პრემიერ-მინისტრის მაღალი თანამდებობა უკვე მიმავალმა პრემიერმა, მაღალი თანამდებობა?! მაღალი კი არა, უმაღლესი! რომ იტყვიან, უკვე ირაკლი ღარიბაშვილის ხელშია საქართველოს ხვალინდელი დღე... სად ჰქონდა ბატონ ნოდარ ჭითანავას ნიჭსა და უნარს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ესოდენი გასაქანი?.. პარტია და ცეკას ბიურო წყვეტდა ყველაფერს. არა, ავტორიტეტს ვინ შეულახავდა, მაგრამ „ხელმძღვანელი ამხანაგი“ მაინც სხვა იყო (აღარას ვამბობ კრემლიდან წამოსულ მითითებებზე).

ჰოდა, მიდი ახლა ირაკლი ღარიბაშვილო! შენ შემოგყურებს არც მთლად დამოუკიდებელი, არც მთლად თავისუფალი, მაგრამ, მაინც თავისი ბედის ასე თუ ისე, დამოუკიდებლად მჭედელი ჩვენი პატარა ქვეყანა! იქნება ჭორი, იქნება ტალახის სროლა, იქნება ავსიტყვაობა, მაგრამ უნდა იდგე მტკიცედ და შეურყევლად! სხვა საშველი აღარა აქვს საქართველოს! მაშ, ჯვარი ეწეროს შენს საქმეს! ნდობა ბიძინა ივანიშვილისა, სწორედაც უნდა გაამართლო!

# ინგა გრიგოლიას საქმე შემოელია?!

აბა, ინგა გრიგოლიას მეტი რა უნდოდა? „ჩაავლო“ ჭორი, თავისი ჭკუით, სკანდალური ფაქტი, და „ტვ-3“-ის არხით ქვეყანას მოუყვა ახლადარჩეული პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილისა და მისი მეგობარი ქალბატონის სიყვარულის ისტორია. მოუყვა კი არა, გაარჩია, შემოიკრიბა სტუდიაში რამდენიმე ნაცნობი თუ უცნობი სახე და თითქმის მთელი ორი საათი წაღმა-უკუღმა ატრიალა ახალი ამბავი: გიორგი მარგველაშვილსა და მაკა ჩიჩუას, თურმე, ხელი არ ჰქონიათ მოწერილი, ამდენად, შეიძლება თუ არა მაკას „პირველი ლედი“ ეწოდოს და, 17 ნოემბერს, პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, იდგეს იგი გიორგი მარგველაშვილის გვერდითო?!.

ო, ტა, ტა ტა!.. იქცევა ქვეყანა, აი, პრობლემა ეგ არის, თუა! აბა, ტელეჩართვებიო, აბა, უცხოეთის მაგალითებიო!.. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა მერეო, ჩვენ ვიცავთ სიყვარულის გრძნობასო, სოციალურ ქსელებში რამდენი ტვინგახურებული, რაღაცეებს ბოდიალობს, მათი აყოლა, როგორ შეიძლებაო... ამ პათოსით მიდიოდა, ვითომ, ინგას გადაცემა, მაგრამ მთელ საქართველოს რომ გავაგებინეთ, ინგა, ძვირფასო, გიორგი მარგველაშვილისა და მაკა ჩიჩუას შინაური ამბები, ეგ, ვითომ, კარგი ჰქენი?!

ეგ ხომ, მაინც სკანდალი და ინტრიგაა?! ეგ ხომ პირადი ცხოვრების წვრილმანებში ცხვირის ჩაყოფაა?! ეგ ხომ ჟურნალისტური ეთიკის დარღვევაა? ჩემი აზრით, ეგ სულაც არ არის შენი ნიჭისა და უნარის საქმე!.. უამრავი „საზოგადო ჭირი“ მოგვძალებია, ძვირფასო ინგა, ჰოდა, იმას მიხედე!..

ვილენ მარდალეიშვილი

სხვა გაზეთიდან



# დრაკონი ნამგლითა და უროთი

## რატომ არიან ჩინეთში კომუნისტები დღემდე ხელისუფლების სათავეში?

**ჩინეთი ცხოვრების დონით არა თუ დაგვეწევა, არამედ გაგვისწრებს კიდეც. მაგრამ იქ საჭესთან ძველებურად კომუნისტური პარტიაა. როგორ შეძლეს მათ ასეთი „სასწაული“?**

**ი.ბოგომოლოვი, ხაბაროვსკი**

შესაძლებელია, მათი წარმატების ერთ-ერთი რეცეპტია ის, რომ ადგილობრივი ლიდერები ხალხს მოუწოდებენ, აშენონ განსაკუთრებული სოციალიზმი – „სქელი ჯიბით და სავსე კუჭით“.

35 წლის ბიზნესმენს ლინ ცინს საშინლად ეშინია, რომ პარტიაში არ მიიღებენ. ის დამამშვიდებელს სვამს, ცოლი და შვილებიც ნერვიულობენ, თავად კანდიდატს დღეღამეში 3-4 საათი სძინავს. ის საფუძვლიანად სწავლობს ლენინისა და მაო ძედუნის შრომებს. „ეს დიდი პატივია – იყო პარტიის წევრი, – გვიხსნის ბიზნესმენი, – ყველა როდია მისი ღირსი“. ამ დროს ამხანაგი ლინი ფლობს საფეიქრო ფაბრიკას და მისი ქონება 10 მილიონ დოლარს აჭარბებს. მომავალი კომუნისტი იცმევს გუჩის კოსტიუმს, სვამს ძვირფას ფრანგულ



ღვინოს და ატარებს ოქროს საათს „როლექსი“. ჩემს შეკითხვაზე, სწამს თუ არა მას მშრომელთა ძმობა, ლინი დუმს. „მისმინეთ, რა ჯანდაბად გინდათ ეს თქვენ?“ გულღიად ვეკითხები..„რას ამბობთ? – უკვირს მილიონერს. – იყო კომუნისტი, ეს ხომ მეტად პრესტიჟულია!“ წელს ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრთა რაოდენობამ 85 მილიონ კაცს მიაღწია, პარტბილეთის მიღების მსურველთა რიცხვი კი ხომ უთვალავია.

### ნუ გააბრაზებთ ადამიანებს

**ეს, რასაკვირველია, ეგრეთ წოდებული გლამურული კომუნიზმია. მილიონერებს შორის (მათ 2002 წლიდან ოფიციალურად აქვთ ნება, იყვნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრები) მოდაშია პიჯაკების ლაცკანებზე დაიმაგრონ ოქროს პარტიული ნიშნები და დაიდგან სახლებში ძვირფასი ლითონის მაო ძედუნის ბიუსტები. ჩინეთის ქალაქებში ატრიალებენ ლოზუნგებს „კომუნისტური პარტიის 10000 წლის ბედნიერება!“, რესტორან გუანჯოუში კი, სადაც საუზმისთვის შევედი, მიმდინარეობდა ოფიციანტების კრება: პატივს მიაგებდნენ „ამხანაგ ჩენს, რომელმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა“. გარედან ეს აბსურდის თეატრს მოგვაგონებს. განსაკუთრებით თუ გეცოდინება, რომ ჩინეთში უამრავი კერძო საწარმოა, უცხოური კორპორაციები აქ აშენებენ ყველაფერს, დაწყებული ავტომობილებითა და დამთავრებული ნემსებით, პარტიის გენერალური მდივანი სი ცზიანი ტრიბუნიდან ამბობს: „ჩვენი ამოცანაა, რომ ხალხმა მიიღოს მეტი ფული და აქტიურად ტკბებოდეს ცხოვრებით!“**

– რატომ დაინგრა საბჭოთა კავშირი? – სვამს საკითხს გუანჯოუში სკოლის ექსდირექტორი ლო ვუ. – თქვენმა გორბაჩოვმა მაინც ვერ გაიგო: სოციალიზმი უნდა ვაშენოთ სქელი საფულითა და სავსე კუჭით. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში მაო ძედუნის გარდაცვალების შემდეგ მალე განსაზღვრეს: თუ ხალხი შიმშილობს, რა მნიშვნელობა აქვს წითელი დროშის ფრიალს. ჩინელები დაიღალნენ, მიიღონ სამი მეტრი ჩითი წელიწადში ერთ ოჯახზე ბარათებით. სწორედ ამიტომ 1979 წელს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ნება დართო კერძო ბიზნესს, „რეფორმების მამამ“ დენ სიაოპინმა კი ღიად განაცხადა: „იყო მდიდარი – საპატიოა“. ჩინეთში უმალვე გაიხსნა კერძო რესტორნები, მაღაზიები და ფირმები, გაჩნდა პირველი „მაკდონალდსი“ – წარმოგიდგენიათ ასეთი რამ ბრეჟნევის დროს? რასაკვირველია, არა. თქვენი კომუნისტები ძალიან გაერთვნენ ლოზუნგებით და დაივიწყეს ფული პროდუქტებთან ერთად. რომ მიეცათ ხალხისთვის საშუალება ნორმალურად გამოემუშავებინა, გაეხადა მანეთი კონვენტირებული – საბჭოთა კავშირი აუცილებლად გადარჩებოდა. როდესაც ადამიანი მაძღარია, მას რევოლუცია აღარ სჭირდება.

მაგრამ თუ ჩინეთის კომუნისტური პარტია არ ძვრება ეკონომიკაში, სამაგიეროდ პოლიტიკას აკონტროლებს უკიდურესად მკაცრად. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ინტერნეტი ექვემდებარება ცენზურას, გამორთულია ისეთი სერვისები, როგორიცაა Voutube და Twitter. ერთ პერიოდში მიუღწეველი იყო სისტემა Goodle. აღიკვეცება კომუნისტების ნებისმიერი კრიტრიკა, აკრძალულია ანტისამთავრობო მიტინგები, მათ მონაწილეებს უმალვე აპატიმრებენ. კერძო ცხოვრების საქმეში კი პარტია ცდილობს, იყოს უფრო ლმობიერი. 5 წლის წინათ ქვეყანაში აგორდა სკანდალი, როდესაც შანხაიში პოლიციამ დააპატიმრა ახალგაზრდა წყვილი, როდესაც მათ ბინაში პორნოფილმების კოლექცია აღმოაჩინა. შედეგად პოლიცია იძულებული გახდა, ბოდიში მოეხადა. „თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში“ (ქალაქებში შენჯანი, გუანჯოუ და ჩჟუხაი) პარტიამ ნება დართო... გაეხსნათ სექს-შოპები და ხაზგასმით მიუთითა: „ის, თუ რას აკეთებენ საძინებელში ცოლი და ქმარი – ეს მათი პირადი საქმეა“.

– საბჭოთა კომუნისტების შეცდომა იყო ის, რომ იდეოლოგიის გარდა ისინი ცდილობდნენ შეძვრომოდნენ ხალხს ლოგინში, – მიხსნის ჟურნალისტი ლუ იუანი, რომელმაც 1988 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. – ხელმძღვანელობის ასეთი სტილი ხალხში მხოლოდ გაღიზიანებას იწვევდა. ამჟამად ჩინეთში არ არსებობს ცნება „სოციალისტური მორალი“. აქ არაა სტრიპ-კლუბები, მაგრამ არავინ ახდენს იმის რეგულირებას, თუ როგორი გამჭვირვალობისაა ქალიშვილების ბლუზები და ეხვევიან თუ არა ერთმანეთს ქუჩებში წყვილები. პარტია ცდილობს, არ გააღიზიანოს ადამიანები ტყუილუბრალოდ.

### ვაკეთოთ, მაგრამ არ მოვიპაროთ

**– ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ყვავის კაპიტალიზმი, რომელსაც კომუნისტები მართავენ, – მიაჩნია ჰონკონგელ პოლიტოლოგ ვიქტორია ლონგს. – ხელისუფლება ახდენს კვების მთავარი პროდუქტების (როგორიც რძე და ბრინჯია) დოტირებას, რომ ფასები დაბალი დარჩეს და არ იწვევდეს ხალხის რისხვას, ჩინეთში უფსკრული ღარიბებსა და მდიდრებს შორის ხომ დიდია. ბიზნესთან დაკავშირებით მიაჩნიათ, რომ შენ თვითონ უნდა გააკეთო შენი ფული და არ მოიპარო ნავთობის კომპანია, როგორც რუსეთში იყო 90-იან წლებში. წამყვანი ენერგეტიკული კომპანიები სახელმწიფოს ხელშია. სამაგიეროდ მედიცინა რეფორმების პერიოდში, ვაი რომ, ფასიანი გახდა: „სასწრაფოს“ გამოძახება ჯდება დაახლოებით 5000 რუბლი, ერთი ნემსის გაკეთება საავადმყოფოში 500 რუბლი ჯდება. მთავრობა გვიხსნის, რომ სოციალიზმი გვავალდებულებს დავეხმაროთ მხოლოდ ღარიბებს, დანარჩენებმა მკურნალობისთვის თავად გამოიმუშაონო. უმაღლესი განათლებაც – ფულითაა, თუმცა კომუნისტური პარტია იძლევა კრედიტებს სწავლებაზე და ეხმარება სტუდენტებს ღარიბი ოჯახებიდან. ჩინეთმა წარმატებით გადააჯვარედინა კაპიტალიზმი და სოციალიზმი, ორივე სისტემის პლუსების გამოყენებით.**

1 ოქტომბერს ქვეყანაში ყველგან აღინიშნა დღესასწაული – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაფუძნების დღე, რომელიც პეკინში ტიანანმენის მოედანზე გამოცხადდა 1949 წელს, ე.ი. 64 წლის წინათ. ქალაქებს ამშვენებდა ყვავილები და ლოზუნგები „დიდება კომუნისტურ პარტიას!“, ფრიალებდა წითელი დროშები, მშრომელთა დემონსტრაციებზე კი მოჰქონდათ მაო ძედუნის პლაკატები და მადლობას უხდიდნენ პარტიას მათი ბედნიერი ცხოვრებისთვის. ამის შემდეგ წავიდნენ სამუშაო ადგილებში: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძლიერი ეკონომიკის მთავარი საყრდენია – პატარა ფარდულები, მაღაზიები, სასაუზმეები და პირადი სავაჭროები, სადაც ჩინელთა უმრავლესობა გამოიმუშავებს ფულს. და სწორიცაა, სსრ კავშირის უკანასკნელ წლებში ჩვენი კომუნისტები გადაყვნენ დავებს: მისცენ ადამიანს ნება, შეასრულოს ლენინის ანდერძი – გახსნას საკუთარი კაფე, თუ ეს იქნება კაპიტალიზმის მხეცური ღრჭენა? სანამ ისინი ფიქრობდნენ, დაეთმოთ თუ არა პრინციპები, ქვეყანა დაინგრა. სსრ კავშირის მაშინდელი ხელისუფლება უფრო გონიერი რომ ყოფილიყო ეკონომიკის საკითხებში, სავსებით შესაძლებელია, საბჭოთა კავშირი დღემდე ცოცხალი იქნებოდა.

გიორგი ზოტოვი

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

### რაგბი

## ევროპული ოქრო „ალაფის“ საგზურით



**პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში დამთავრდა 19-წლამდელ მორაგბეთა ევროპის პირველობა, რომელშიც წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა. ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებმა“ ზედიზედ სამი მატჩი მოიგეს და ჩემპიონობასთან ერთად ჰონგკონგში მსოფლიო „ალაფზე“ გასამგზავრებელი საგზურიც დაიმსახურეს. ეს შეჯიბრება კი გაისად გაიმართება და საქართველოს ნაკრები მასპინძლებთან ერთად იაპონიას, კანადას, ნამიბიას, ტონგას, ურუგვაის და აშშ-ს გაუწევს მეტოქეობას.**

დავით ვართანიანის შეგირდების მიერ მოგებული წინა ორი მატჩის შედეგები უკვე გაუწყეთ. რაც შეეხება ბელგიასთან გამართულ ფინალურ შეხვედრას, პირველი ტაიმი დაძაბული გამოდგა. ანგარიში ქართველებმა გახსნეს — მე-8 წუთზე აფციაურმა ჯარიმა ზუსტად შეასრულა. 25-ე წუთზე უკვე ჯინჭველაშვილმა იყოჩაღა — 6:0. ამის შემდეგ უპირატესობას ბელგიელები დაეუფლნენ და შესვენებამდე წონასწორობა აღადგინეს — 6:6. მეორე ტაიმში მოედანზე „ბორჯღალოსნები“ დომინირებდნენ. ჩვენმა ბიჭებმა ყველა კომპონენტში აჯობეს მეტოქეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს — 32:6. საქართველოს ნაკრებმა ფინალურ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გიორგი აფციაური, მურაზ გიორგაძე, გიორგი ტალახაძე, დავით გულიტაშვილი, ბადრი ლიპარტელიანი (ანზორ სიჭინავა 36), რევაზ ჯინჭველაშვილი, თეიმურაზ თუთბერიძე (ირაკლი სვანიძე 70); ზაურ ხარებავა (დავით ფხაკაძე 63), გიორგი ტორაძე (ბადრი ალხაზაშვილი 36), გიორგი მარგველანი (ბექა კაკაბაძე 54), როლანდ კვაჭაძე, ბესიკ ბარბაქაძე, ბადრი დანგაძე, თორნიკე ბუბუტეიშვილი (ნიკოლოზ გიგაური 36), ჟორა მღებრიშვილი (დავით პაპავაძე 63).

**ვაჟა ნოსირელი**

### ძიუდო

## ახალგაზრდობა იმარჯვებს

**გასულ უქმეებზე სპორტკომპლექს „არენაში“ ძიუდოისტთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც, ფაქტობრივად, ქვეყნის უძლიერესმა ფალავნებმა მოიყარეს თავი (რამდენიმე გამონაკლისის გარდა). განსაკუთრებით ახალგაზრდებმა იყოჩაღეს — ბევრ წონაში მათ ნაკრების სტაჟიან წევრებს აჯობეს.**



უმთავრესი მოულოდნელობები 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოხდა: ჭაბუკებში ევროპის მესამე პრიზიორმა **ლუხუმ ჩხვიმიანმა** ჯერ 20 და 23-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი პაატა მერებაშვილი დაამარცხა, ნახევარფინალში ახალგაზრდებში ევროპის ბრინჯაოს მედალოსან გიორგი ბროლაშვილს აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში კი ევროპის წლევანდელ ჩემპიონ ამირან პაპინაშვილს დააყრევინა ფარ-ხმალი. 66 კილოში **შალვა ქარდავამ** გაიმარჯვა, გადამწყვეტ პაექრობაში მან გიორგი ქალდანს სძლია. 73 კილოში ლიდერების — ევროპის ვიცე-ჩემპიონ ნუგზარ ტატალაშვილისა და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ ზებედა რეხვიაშვილის არყოფნით **ფრიდონ გიგანმა** ისარგებლა — ფინალში ზურაბ ნოზაძეს მოუგო.

81 და 90 კილოში წონის გამოკვეთილმა ლიდერებმა — მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონმა **ავთანდილ ჭრიკიშვილმა და ვალერი ლიპარტელიანმა** გაიმარჯვეს. 100 კილოში ტოლი არ ჰყავდა ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონ **გურამ თუშიშვილს.** მან მეოთხედფინალში რევაზ ჩიკოიძე იპონით ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში ჯანიანი დავით ლორიაშვილი შებოჭა, გადამწყვეტ პაექრობაში კი იოსებ მსხალაძე დაამარცხა.

მძიმე წონაში არ უჭიდავია ადამ ოქრუაშვილს. სამაგიეროდ, კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდებში ევროპის ოქრო-ვერცხლის მფლობელმა **ლევან მატიაშვილმა** — ფინალში როსტომ ხახალეიშვილს მოუგო. გუნდურ ჩათვლაში ქვემო ქართლის გუნდმა გაიმარჯვა 3 ოქროთი. მეორე-მესამე ადგილებზე თბილისი (2 ოქრო) და აჭარა (1 ოქრო) გავიდნენ.

**ლაშა დიდია**

### კალათბურთი

## ორჯერ მოგებული ბრძოლა

**სუპერლიგის III ტურში დრამატულად განვითარდა მოვლენები თბილისის „დინამოსა“ და „ბათუმის“ მატჩში, რომელიც მასპინძლებმა გაჭირვებით მოიგეს — 95:93.**

დილმელებმა ყინჩად დაიწყეს შეხვედრა და სოლიდური უპირატესობითაც დაწინაურდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამყრელიძეს, ლეჟავას, მილოშევიჩსა და კარტერს საჯარიმოები დაუგროვდათ, ზღვისპირელებმა შვება იგრძნეს და საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე ამერიკული ტრიოს, აგრეთვე რამიშვილის ძალისხმევით წინაც გავიდნენ — 86:75. სწორედ ამ დროს დაუშვა საბედისწერო შეცდომა მათმა თავკაცმა მიხეილ კობეშავიძემ, რომელმაც 4 პერსონალური შენიშვნის გამო სარბიელიდან თამაშის ერთ-ერთი გმირი სელფორდი (28 ქულა) გაიყვანა.

დარჩენილი დრო ბრძოლაში დაბრუნებულ „თეთრ-ლურჯთა“ ლიდერებისთვის საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო სპურტისათვის, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტი შეტევა სტუმართა გამთამაშებელმა გუდიგანმა ჩააფლავა უკანასკნელ წამებზე.

**დანარჩენი შედეგები:** „არმია“ — შსს აკადემია 70:55, „ქუთაისი“ — „მაკაბი“ 117:69, „რუსთავი“ — „სოხუმი“ 45:78. ისვენებდა „ოლიმპი“.

**სატურნირო მდგომარეობა:**

„ქუთაისი“, „არმია“ — 3-3, „დინამო“ — 2, „სოხუმი“, „ბათუმი“, შსს აკადემია, „ოლიმპი“ — 1-1, „რუსთავი“, „მაკაბი“ — 0 მოგება.

**ვიტალი ჯაფარიძე**





### ხელბურთი

## სუომელებთან მოგებული ომი

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველო-ფინეთი 26:19 (8:10).**

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები (გიორგი გვაზავა, უჩა გამზარდია, ზურაბ აბრამიშვილი, სერგო დათუკაშვილი, ვლადიმერ რუსია, ირაკლი ჩიქოვანი, ოთარ ამირანაშვილი, გიგა ტორონჯაძე, თეიმურაზ ორჯონიკიძე, უჩა მაისურაძე, ზურაბ სიმონია, შოთა თევზაძე, რევაზ ჭანტურია, რატი მსხვილიძე, ლევან ბერძენიშვილი, ილია გოგალაძე, მთავარი მწვრთნელი — ჯორჯე რასიჩი, მწვრთნელები - ირაკლი კეკელიძე, ბექარ ორჯონიკიძე) მნიშვნელოვან შეჯიბრებებში ოთხი წელიწადია, არ გამოჩენილა. რამდენიმე დღის წინათ ლიტვაში 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში იგი მასპინძლებთან 17:23 დამარცხდა, კვირას კი ფინეთის ნაკრებს სძლია. მატჩი სტუმრების იერიშებით დაიწყო, პირველი ტაიმიც მათ მოიგეს 10:8. შესვენების შემდეგ სერბი ჯორჯე რასიჩის შეგირდებმა მატჩში გარდატეხა შეიტანეს და 26:19 გაიმარჯვეს. მასპინძელთაგან ყველაზე მეტი გოლი ჭანტურიამ გაიტანა. იმავე დღეს ლიტველებმა სტუმრად თურქებს 23:20 (9:11) სძლიეს.



„— ლიტვაში წაგებული მატჩი დიდ წნეხად აწვა ჩემს შეგირდებს, ამის მიუხედავად, ქომაგთა მხარდაჭერით მეორე ტაიმში მათ შეძლეს ორთაბრძოლის სადავეების ხელში ჩაგდება და თავიანთ სასარგებლოდ დამთავრება. დარწმუნებული ვარ, იანვრიდან უკეთ ვითამაშებთ. საქართველოს დიდი მომავლის გუნდი ჰყავს“, — გვითხრა ჯორჯე რასიჩმა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიტვა | 2 | 2 | 0 | 0 | 46:37 | 4 |
| 1. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 43:42 | 2 |
| 3. ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 45:46 | 2 |
| 4. თურქეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 40:49 | 0 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 2014 წლის 2 იანვარს განახლდება: **2 იანვარი.** ფინეთი-ლიტვა, თურქეთი-საქართველო, **4-5 იანვარი**. ლიტვა-ფინეთი- საქართველო-თურქეთი, **8-9 იანვარი**. საქართველო-ლიტვა, თურქეთი-ფინეთი, **11-12 იანვარი.** ლიტვა-თურქეთი, ფინეთი-საქართველო.

**ლექსო ცინცაძე**

### ჩოგბურთი

## ანა ტატიშვილის წყვილი ზეობა



**თბილისელი ჩოგბურთელი ანა ტატიშვილი მეოთხე კვირაა, წარმატებით ასპარეზობს ამერიკულ ტურნირებში. გასულ უქმეებზე მან ერთბაშად ორი მთავარი პრიზი მოიპოვა — ერთეულებსა და წყვილებში**. ეს მოხდა ნიუ ბრაუნფელსში (აშშ). შეჯიბრების საპრიზო ფონდი იყო 50.000 დოლარი. ერთეულთა ნახევარფინალში ტატიშვილმა, რომელიც მე-6 ნომრად გახლდათ განთესილი, დანიელე ლაო (აშშ) დაამარცხა — 6:3, 6:7, 6:3, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში ბულგარელ ელიზა კოსტოვას აჯობა — 6:4, 6:4. ჩვენებურმა, ასევე, წარმატებით იასპარეზა წყვილებშიც, სადაც მასპინძელ კოკო ვანდევეგესთან ერთად შაბათს სანაზ მარანდი და ეშლი ვეინჰოლდი (ორივე-აშშ) დაჯაბნა — 6:3, 6:3, ფინალში კი ასია მუჰამადისა და ტაილორ თაუსენდის (აშშ) დუეტს დააყრევინა ფარ-ხმალი — 3:6, 6:3, 13:11.

**გივი გაგუა**

### ფეხბურთი

## აქეთურ-იქითური

**XXV ეროვნული ჩემპიონატი:** „მეტალურგი“ — „დინამო“ 0:0, „გურია“ — „ბაია“ 1:0, „დილა“ — „მერანი“ 3:0, „ზესტაფონი“ — „სიონი“ 0:0, „ცხინვალი“ — „ვიტ ჯორჯია“ 3:2.

* * *

**იტალია**. „ტორინო“ — „რომა“ 1:1, „უდინეზე“ — „ინტერი“ 0:3, „ნაპოლი“ — „კატანია“ 2:1, „პარმა“ — „იუვენტუსი“ 0:1, „მილანი“ — „ფიორენტინა“ 0:2.

**ესპანეთი**. „ბარსელონა“ — „ესპანიოლი“ 1:0, „რაიო ვალეკანო“ — „რეალი“ 2:3, „ატლეტიკო“ — „ბილბაო“ 2:0, „სევილია“ — „სელტა“ 0:1, „სოსიედადი“ — „ოსასუნა“ 5:0.

**ინგლისი**. „არსენალი“ — „ლივერპული“ 2:0, „სიტი“ — „ნორვიჩი“ 7:0, „ნიუკასლი“ — „ჩელსი“ 2:0, „ფულჰემი“ — „მანჩესტერი“ 1:3, „ევერტონი“ — „ტოტენჰემი“ 1:1.



**გერმანია**. „ჰოფენჰაიმი“ — „ბაიერნი“ 1:2, „ბორუსია“ — „შტუტგარტი“ 6:1, „ბრაუნშვაიგი“ — „ლევერკუზენი“ 1:0, „ჰერტა“ — „შალკე“ 0:2, „ჰამბურგი“ — „გლადბახი“ 0:2.

**გიორგი შოთაძე**

სულთათანა

# კიტა შავიშვილი



წლები მართლაც მისი მთავარი სიმდიდრე იყო. ცხრა ათეული წელიწადი, თითქოს ხანგრძლივი ჟამი, მაგრამ მაინც წუთისოფელი, **კიტა შავიშვილმა** ისე დაუდეგარი, მუხლჩაუხრელი ცხოვრებით, საქვეყნო საქმის ერთგულებით, ოჯახისა და მეგობრების ისეთი გამორჩეული სიყვარულით განვლო, მასზე კეთილი, მართალი, მადლიანი სიტყვის უთქმელობა დიდ ცოდვად ჩაგვეთვლებოდა.

კიტა შავიშვილის პიროვნებაში ხომ იმდენი საუკეთესო, ახალგაზრდობისთვის სამაგალითო თვისება იყო თავმოყრილი, რომ თითოეული მათგანიც კი საკმარისი იქნებოდა ერთი სრულყოფილი ადამიანის წარმოსაჩენად.

ყველაფერი ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭანიეთიდან დაიწყო, სადაც 1923 წლის 25 ოქტომბერს დაიბადა ეს ქუდბედიანი, სულით და ხორცით ლამაზი ბიჭი... რომელმაც მერე უკვე საქვეყნოდ გაითქვა სახელი სამშობლოს ერთგული, თავდადებული მსახურებით.

1940 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში გამოირჩეოდა სანიმუშო სწავლით და კომკავშირულ-ახალგაზრდულ ორგანიზაციაში აქტიური საქმიანობით.

1945 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 22 წლის ჭაბუკი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად დანიშნეს. აქედან დაიწყო მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის აღმავალი გზა.

1947-51 წლებში საქართველოს კომკავშირის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანია;

1951-52 წლებში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი:

1952-54 წლებში აწინაურებენ საქართველოს კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1954-60 წლებში საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანია;

1960-65 წლებში მოღვაწეობს საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველ მდივნად;

1965-73 წლებში საქართველოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა;

1973 წლიდან 1989 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს ცეკავშირის გამგეობას;

1989 წლიდან იყო საგარეო-ეკონომიკური კომპანია „აგროიმპექსის" გენერალური დირექტორი.

როცა თვალს გადავავლებთ ამ გონიერი და ღონიერი, მუდამ პრინციპული და სამართლიანი პიროვნების ნამოღვაწარს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ურთიერთობა გვქონდა ჭეშმარიტად დიდ კაცთან, დიდ მეოცესაუკუნელთან, რომლის შინაგანი სითბო და ადამიანური აურა ამშვენებდა მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, მეგობრებთან და გარშემო მყოფ ადამიანებთან ყოველთვის ამყარებდა კეთილ, საქმიან, შესანატრ ურთიერთობას.

ამიტომაც იყო, რომ ამ გამორჩეულ სახელმწიფო და სამეურნეო მუშაკს 46 წლის განმავლობაში (1954-90 წ.წ.) ზედიზედ ირჩევდნენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატად. 1962-66 წლებში სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატიც იყო.

ბატონი კიტა შავიშვილი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა მისაბაძ ოპტიმისტად. ის მუდამ ეტრფოდა სიცოცხლეს, ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს...

სამაგალითოა მისი სიყვარული შავიშვილების ოჯახის დედაბურჯთან, ქალბატონ ლიანა შეწირულთან, რომელიც საკუთარ ნაგრამთან ერთად, ათეული წლების განმავლობაში თავს ევლებოდა ასობით და ათასობით ქართველ მოზარდს... ის ხომ 1973-2005 წლებში თბილისის კლასიკური გიმნაზიის (ყოფილი პირველი სკოლის) ლეგენდარული დირექტორი იყო.

კიტა შავიშვილის უფროსი შვილი ზურაბი მეცნიერებათა დოქტორი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, მეორე შვილი — ნიკა კი არქიტექტურის დოქტორი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია.

შავიშვილების დიდი ოჯახის ტრადიციებს აგრძელებს ოთხი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი.

კიტა შავიშვილს მრავალი სამთავრობო ჯილდო აქვს მიღებული (მათ შორის, საქართველოს ღირსების ორდენიც), მაგრამ მისი მთავარი ჯილდო და განძი მაინც მისი ოჯახი და სახელოვანი სამეგობრო იყო.

რადგანაც გარდაცვალება მხოლოდ ცოდვილთათვის არის სიკვდილი, კიტა შავიშვილის მსგავსი მამულიშვილებისთვის ის უკვდავების დასაწყისია...

მადლობა უფალს მისი გაჩენისა და არსებობისათვის!

**ედუარდ შევარდნაძე, გივი აბზიანიძე, ვილი ალავიძე, გივი ანჩაბაძე, ანზორ ბურჯანაძე, ნათელა ვასაძე, ვლადიმერ გვარჯალაძე, გურამ გვეტაძე, გურამ გუნავა, ბაკურ გულუა, ნელი გურგენიძე, ჯემალ ზამბახიძე, თამაზ იმედაძე, გრამიტონ კვარაცხელია, რესან კონცელიძე, თამაზ კუნჭულია, ვაჟა ლორთქიფანიძე, თენგიზ მენთეშაშვილი, ჯიმი მიქელაძე, გიორგი ნაჭყებია, ნიკოლოზ ნეფედოვი, სერგო რიგვავა, ოთარ ფაცაცია, ავთანდილ საყვარელიძე, ბორის სალარიძე, ვიქტორია სირაძე, ნოდარ ჭითანავა, გიორგი ხაზარაძე, ბონდო ჯიქია.**

---

მეუღლე ლიანა შეწირული, შვილები ზურა, ნიკა, შვილიშვილები ნიკა, ლიკა, ანი, ნინი, შვილთაშვილები ნიკა, ანდრო ზაალიშვილები, სესილი ქოიავა, რძლები ირინა გოგლიძე, მაკა გუჯაბიძე, ნინო ბალანჩივაძე, სიძეები სანდრო ზაალიშვილი, ლევან ქოიავა, მძახალი გოგი ჯინჭარაძე, ძმისწულები ავთო, ზვიად შავიშვილები ოჯახებით, დისწულები შალვა, მარინა, ვანო ჩხარტიშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კიტა შავიშვილი**

გამოსვენება სამშაბათს, 5 ნოემბერს, 14 სთ. ქაშვეთის ეკლესიიდან.

---

ედუარდ შევარდნაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მოქალაქის

**კიტა შავიშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ლიანა შეწირულს, ოჯახის წევრებს, ახლობლებს.

თბილისი, 3 ნოემბერი, 2013 წელი.

---

მარინა, შალვა, ვანო ჩხარტიშვილები ოჯახებით, ზვიად, ავთო შავიშვილები ოჯახებით იუწყებიან საყვარელი ბიძის

**კიტა ნიკოლოზის ძე შავიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 XI, 14 სთ. გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან.

---

თენგიზ კალანდაძე, თამაზ დაუშვილი, ზურა გველესიანი, გურამ ახრახაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მეგობარს თამაზ კუჭავას მეუღლის

**ნათელა რუსიშვილი-კუჭავას**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები: ავთანდილ ჩინჩალაძე, ოთარ ფურცელაძე, რევაზ ჩაგელიშვილი, დემი ლაოშვილი, გივი მრელაშვილი ოჯახებით თანავუგრძნობთ თამაზ კუჭავას საყვარელი მეუღლის

**ნათელა რუსიშვილი-კუჭავას**

გარდაცვალების გამო.

---

რეზო, თამრიკო ხვედელიძეები, ზაურ, ნელი მიმინოშვილები, ავთანდილ, ელისო, ფიქრია წოწკოლაურები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თინა ჯობაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## ჰესის ასაშენებლად ეკოლოგიურმა ექსპერტიზამ დადებითი დასკვნა გასცა

**გარემოს დაცვის სამინისტრომ შპს „ყაზბეგიჰესს" მდინარე ბროლისწყალზე (მდ. ხდისწყალი, მდ. ქისტურა) 6 მგვტ სიმძლავრის ჰესის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გასცა.**

როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან იტყობინებიან, ჰესის მშენებლობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა 1 ნოემბერს გასცა.

მათივე ინფორმაციით, სამინისტროში 18 ოქტომბერს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი იქნა შპს „ყაზბეგიჰესის" მდინარე ბროლისწყალზე 6 მგვტ სიმძლავრის „ყაზბეგიჰესის" განთავსების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. წარმოდგენილ ანგარიშს ჩაუტარდა ეკოლოგიური ექსპერტიზა.

— ექსპერტიზის პროცესში მონაწილეობდნენ როგორც სამინისტროს დარგობრივი სამსახურების სპეციალისტები, ასევე ექსპერტთა რეესტრში რეგისტრირებული დამოუკიდებელი ექსპერტები. ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში პასუხობდა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულების მოთხოვნებს. მასში განხილული და ასახული იყო ის საკითხები, რომლებიც აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, — აცხადებენ სამინისტროში.

## დაზუსტება საჯარო განხილვის შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2013 წლის 11 ნოემბერს, ორშაბათს 14:00 საათზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში დაგეგმილია E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის კმ11.5-კმ30 მონაკვეთის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

## განცხადება

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია თავისი წესდების შესაბამისად აცხადებს კონკურსს აკადემიის წევრების ასარჩევად შემდეგი განყოფილებების მიხედვით:

| განყოფილება | ვაკანსიები |
|---|---|
| 1. ენერგეტიკის განვითარების ზოგადი პრობლემები | — 2 |
| 2. ენერგორესურსები | — 2 |
| 3. ჰიდროენერგეტიკა | — 2 |
| 4. თბოენერგეტიკა | — 2 |
| 5. ენერგიის განახლებადი წყაროები | — 2 |
| 6. ენერგეტიკის ეკონომიკა და გარემოს დაცვა | — 2 |

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრებად შეიძლება არჩეულ იქნან ენერგეტიკული დარგის გამოჩენილი შემოქმედი სპეციალისტები, რომლებსაც აღიარებული წვლილი აქვთ შეტანილი ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების საქმეში.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრობის კანდიდატთა რეკომენდაციის უფლება აქვთ სამინისტროებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ასოციაციებს, ინსტიტუტებს ან ენერგეტიკის აკადემიის არანაკლებ სამ აკადემიკოსს.

განცხადება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განყოფილების მითითებით, სარეკომენდაციო წერილი-წარდგინება სათანადო დასაბუთებით კანდიდატის წამოყენების შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, კანდიდატის CV, სამეცნიერო შრომების სია 2013 წლის 6 დეკემბრამდე უნდა იქნას წარმოდგენილი შემდეგ მისამართზე:

**0171 თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-8 კორპუსი, რევაზ არველაძეს.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77;
599 32-85-76.

## გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები ნოემბერში

**ნოემბერში გეოფიზიკური აქტიურობის გაძლიერება მოსალოდნელია: 6, 7, 10, 11, 14, 17, 22, 25-27 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყოველგვარი სახეობის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტიურობის და სოციუმში დაძაბულობის გაძლიერება.**

**7 – მთვარის შეერთება ვენერასთან და პლუტონთან**. შესაძლებელია სიცოცხლის ძალების შესუსტება, ემოციური ტონუსის დაქვეითება, დათრგუნვის მდგომარეობა, ცუდი შემგუებლობა. საალბათოა ენდოკრინული და სექსუალური მოშლილობა, ძვლებისა და სახსრების დაავადებანი, რეპროდუქტული ორგანოების დასუსტება. არ არის გამორიცხული კვებითი მოწამვლები, ყელყურის დაავადებები, პრობლემები კბილებთან. რეკომენდებულია ვერიდოთ მძიმე ფიზიკურ დატვირთვებს ხერხემალზე, გაციებას, თბილად გვქონდეს წელი, გამოვიყენოთ მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტები. არ არის სასურველი (ექსტრემალური შემთხვევების გარდა) გავიკეთოთ ოპერაციები თვალზე, ამოვიღოთ კბილები. სასარგებლოა სხეულისა და კანის მოვლა, გამაჯანსაღებელი პროცედურები. ძალიან გულდასმით უნდა მოვიფიქროთ საფინანსო ოპერაციები და ძვირფასი შესყიდვები.



**10 – მთვარის პირველი მეოთხედი**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ნერვულმა აღგზნებადობამ და გაზრდილმა აქტიურობამ შეიძლება მიგვიყვანოს დავებთან და კონფლიქტებთან. არ არის გამორიცხული თავის ტკივილები, საერთო სისუსტე, ანემია, მხედველობისა და სმენის დარღვევა. ძალიან მავნეა სტრესები და კონფლიქტები. რეკომენდებულია შევზღუდოთ გასეირნების, კითხვისა და ტელეპროგრამების ყურების დროს უნდა ვაკონტროლოთ ჩვენი ემოციები, ვერიდოთ კონფლიქტებსა და ურთიერთობათა გარკვევებს. ხელსაყრელი დროა შემოქმედებისთვის სწავლის, ინტელექტუალური საქმიანობის, სამომავლო გეგმების შედგენისთვის.

**11– მთვარე-პლუტონის შეერთება**. ძალიან საალბათოა ნალექები ან წყალდიდობანი. მოსალოდნელია დაბნეულობა, უყურადღებობა, დაგვძლევს თავსმოხვეული იდეები. გაზრდილია ორგანიზმის მგრძნობელობა წამლებისა და ალკოჰოლისადმი. შესაძლებელია დარღვევები იმუნური სისტემის და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობაში – აქედანაა ინფექციებისადმი წინააღმდეგობის გაწევის დაქვეითება. არ არის გამორიცხული ფსიქიკურ დაავადებათა გამწვავების საფრთხე. რეკომენდებულია ვერიდოთ ტრავმატიზმს, სრულად ვთქვათ უარი ალკოჰოლზე, გადავდოთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა, არ გადავღალოთ ფეხები ხანგრძლივი სიარულით და დგომით, მივცეთ თვალებს დასვენების საშუალება. სასიამოვნო და სასარგებლოა ტერფების მასაჟი, მსუბუქი გასეირნებანი, წყლის პროცედურები და ცურვა.

**14 – მთვარე-ურანის შეერთება**. იზრდება გაღიზიანება, კაპრიზულობა, შეიძლება დაგვიმორჩილოს უმართავმა ემოციებმა, შეგვაწუხოს თავის ტკივილებმა, უძილობამ, თვალების, კბილების, სმენის ორგანოების დაავადებებმა, კრუნჩხვებმა. რეკომენდებულია უარი ვთქვათ მოწევაზე, გამაღიზიანებელ საშუალებებზე, ყავაზე, შოკოლადზე, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ დამამშვიდებელი საშუალებები. საჭიროა დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, უარი ვთქვათ გადაჭარბებულ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვებზე, მეტი ვისეირნოთ და ვიყოთ ჰაერზე. მოდუნებისთვის სასარგებლოა თბილი და არომატული აბაზანები, შხაპი, აბანო. უნდა ვერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებსა და სტრესებს, გამოვიჩინოთ მოთმინება და გაგება გარშემომყოფთა მიმართ, შესაძლებელია გეგმებისა და სიტუაციების მოულოდნელი ცვლილებები, ერიდეთ დაცემებსა და ტრავმებს. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა სასურველია გადავდოთ – ხვალ ჩვენი აზრი შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს.

**17 – სავსე მთვარე**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნა. შეიძლება შეინიშნებოდეს შეშფოთება, აღგზნებადობა. დიდია ნებისმიერი ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, არტელიური წნევის ამაღლება, გულისა და ფსიქიკური მოშლილობა, უძილობა. არ არის გამორიცხული ყელისა და საყლაპავი ორგანოების, ბრონქებისა და ფილტვების მოშლილობა, ხმის დაკარგვა. კარგად აითვისება სამკურნალო პრეპარატები, ალკოჰოლი, საკვები. რეკომენდებულია დავიცვათ სიფრთხილე საჭესთან და გზებზე, უარი ვთქვათ აცრებზე, ნარკოტიკებზე, ანესთეზიაზე, დავიცვათ ზომიერება კვებაში, ვიყოთ ფრთხილად ცეცხლთან. არ არის სასურველი ოპერაციები ფარისებრ ჯირკვალზე, კბილების ქვედა ყბიდან ამოღება და პროტეზირება.

**22 – მზე მშვილდოსნის ნიშანში გადადის, მთვარე აპოგეაშია იუპიტერთან შეერთებაში**. შესაძლებელია განწყობილებათა ვარდნები. ერიდეთ სხვების გავლენას. შეიძლება შეგაწუხოთ ღვიძლმა, ნაღვლის ბუშტმა, კუჭქვეშა ჯირკვალმა. რეკომენდებულია არ გადავტვირთოთ ღვიძლი, დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ცხარე საკვებსა და ალკოჰოლზე. ემოციურმა გადატვირთვებმა და სტრესებმა შეიძლება გამოიწვიოს კვების გადამუშავების დარღვევა და გააძლიეროს გასტრიტი. არ არის სასურველი გაციება და წყლის აქტიური პროცედურები. ხელსაყრელი დროა საოჯახო საქმიანობისთვის, სახლის კეთილმოწყობისთვის, სიმშვიდის შექმნა, კარგი დროა დასვენებისა და გასეირნებისთვის.

**25 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ხდება სიცოცხლის ენერგიისა და იმუნიტეტის დაქვეითება, იზრდება სიზარმაცე და პასიურობა. შესაძლებელია კანის დაავადებანი, დარღვევები კუჭქვეშა ჯირკვლის, კვების გადამამუშავებელი ორგანოების მუშაობაში, ბევრი უსიამოვნების მიზეზი შეიძლება გახდეს ნერვული და ფიზიკური გადატვირთვები. ზედმეტი გაღიზიანების დროს საალბათოა უძილობა. რეკომენდებულია გასეირნებანი, ვარჯიში, წყლის პროცედურები, პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### ღარიბაშვილის მოსვლა იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილი არსად მიდის

**პრემიერ-მინისტრად** ირაკლი ღარიბაშვილის წარდგენის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს დამშვიდების სრული საფუძველი აქვს, რადგან ღარიბაშვილის პიროვნება გამორიცხავს ყველა იმ საფრთხეს, რისიც საზოგადოებას ეშინოდა. მოდით პირდაპირ ვთქვათ და ეს არავის ეწყინება, მათ შორის, არც ირაკლი ღარიბაშვილს – ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრობა, ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში და ხელისუფლებაში დარჩენას ნიშნავს. დიახ, ღარიბაშვილის მოსვლა იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილი არსად მიდის! პრემიერ-მინისტრად ივანიშვილის ნაცვლად მისი ტოლ-სწორი ლიდერი მოვიდა.

**„ასავალ-დასავალი“**

### „ეს არის სააკაშვილის პოლიტიკური კორუფცია და პირადი ინტერესები“

**– ეხმიანება** უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე სააკაშვილის ბოლოდროინდელ შეწყალებას, – პრეზიდენტმა ის ადამიანები შეიწყალა, ვისაც ამნისტია არ შეეხო, ამაში ცუდი არაფერია, თითქოს ჰუმანური აქტია, მაგრამ, როდესაც პრეზიდენტს ეს აქტი პირად ინტერესებზე აქვს მორგებული და პატიმრებშიც ბადებს არასამართლიანობის განცდას, ბუნებრივია, ეს არის დანაშაულებრივი აქტი. საერთოდ, ძებნილი პირების შეწყალების პრეცედენტი არ არსებობს. შეიძლება ითქვას, სააკაშვილმა პოლიტიკური კორუფცია ჩაიდინა. ის პირები, რომლებიც სააკაშვილმა შეიწყალა, მასთან ერთად იყვნენ პოლიტიკური დანაშაულობების თანამონაწილე.

**„ქრონიკა“**

### „რუსეთი აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკის შექმნას გეგმავს“

– აცხადებს უპარტიოთა მოძრაობის ლიდერი მამუკა გვაძაბია, – ამისთვის რუსეთი სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავს. გალში, მაგალითად, აგიტაციასაც არ ერიდება. კონფერენციასაც ატარებს. ამის მცდელობა რუსეთს ყოველთვის ჰქონდა. რუსეთის დღევანდელი ხელისუფლებაც აგრძელებს იმ პოლიტიკას, რასაც ჰქვია სამეგრელო-აფხაზეთის რესპუბიკის შექმნის მცდელობა. ამისთვის სხვადასხვა ღონიძიებებს მართავენ. ცოტა ხნის წინ გალში გაიმართა „მეგრული ენის როგორც „არაქართველური“ ენის“ შემსწავლელი სიმპოზიუმი თუ კონფერენცია, სადაც, ჩემი ინფორმაციით, ზუგდიდიდანაც გადავიდა რამდენიმე ტვინამღვრეული პიროვნება ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

**„ახალი თაობა“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

**– რა მოხდება, თუ ყურს მოგაჭრიან – ეკითხება პაციენტს ფსიქიატრი.**

**– სმენა დამიქვეითდება.**

**– თუ მეორე ყურსაც მოგაჭრიან?**

**– ვერაფერს ვერ დავინახავ.**

**– რატომ?**

**– იმიტომ, რომ ჩაჩქანს ვერაფერი დაამაგრებს და თვალებზე ჩამომეფხატება.**

* * *

**ჩავიდა რუსი ინდოეთში. დადის ქუჩებში, ათვალიერებს ხალხსა და შენობებს. უცებ იოგი მიუახლოვდება და, არაყი დამისხიო, ეუბნება.**

**– ვითომ რატომ?**

**– ნუ გეშინია, კი არ დავლევ, ფოკუსს გიჩვენებ.**

**დაუსხა რუსმა. იოგი არყით სავსე ჭიქას მიაშტერდა. უყურებს, უყურებს და უცებ წაიქცევა.**



**ხალხი მოგროვდა. ექიმს გამოუძახეს. მან გასინჯა იოგი და დაასკვნა:**

**– ალკოჰოლური მოწამვლა!**

**დაბრუნდა რუსი სამშობლოში და ძმაკაცთან მივარდა:**

**– დამისხი ერთი ჭიქა არაყი, ფოკუსს გიჩვენებ!**

**დაუსხა ძმაკაცმა. მიაშტერდა რუსი ჭიქას, უყურებს, უყურებს და უცებ წაიქცევა. გამოიძახეს ექიმი. მან გასინჯა რუსი და დაასკვნა:**

**– ნერწყვმა დაახრჩო!**

* * *

**– რა მდიდარი ხარ!**

**– მე კი არა ვარ მდიდარი, შენ ხარ ღარიბი!**

* * *

**ხელფასამდე ხუთ ლარს ხომ ვერ მასესხებ? – ეკითხება შესვენებისას ქიმიის მასწავლებელი მეათეკლასელ მიხოს.**

**– როგორ არა, რა პრობლემაა, ძმაო!**

**– შენ როგორ მელაპარაკები? გაბრაზდა მასწავლებელი.**

**– მაპატიეთ, პატივცემულო მასწავლებელო... ფული არა მაქვს.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24